ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დავით კვარაცხელია

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ასპექტები სამეგრელოს რეგიონში

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ასპექტები სამეგრელოს რეგიონში

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს ტურიზმის მდგრადი განვითარების მთავარ მახასიათებლებსა და ტენდენციებს საქართველოში, სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე. ნაშრომში აღწერილია ის პროცესები, რაც ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ მიმდინარეობს საკვლევ არეალში. თემის მიზანია, მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯერებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეორიულ მიდგომებთან, გამოავლინოს ის ძირითადი დინამიკა და გამოწვევები, რაც ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ ახასიათებს რეგიონის ეკონომიკას დარგის სივრცითი ტრანსფორმაციის კუთხით.

ტურიზმი და მისი განვითარება უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს, განსაკუთრებით, განვითარებადი სამყაროს ბევრი ქვეყნის ეკონომიკებში. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ სამეცნიერო წრეებში დარგის შესწავლის ინტერესი და შესაბამისად, მისი აქტუალურობა მაღალია. განსაკუთრებით აქტუალური კი ტურიზმის მდგრადობის შეფასებაა. სწორედ ტურიზმის სექტორის გავლენას ეკონომიკური მდგრადობის პოზიციიდან იკვლევს აღნიშნული ნაშრომი.

1990-იანი წლების დაღმავალი დინამიკის შემდეგ, ბოლო ორი ათწლეულია ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა, რასაც ნრამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს არის მრავალფეროვანი ტურისტული რესურსების არსებობა - დაწყებული ესთეტიკურად მიმზიდველი და გამაჯანსაღებელი ბუნებრივი გარემო პირობებითნ და დასრულებული ძალიან საინტერესო და სიძველით გამორჩეული ანთროპოგენული ტურისტული რესურსებით.

ნაშრომში განხილულია ის ძირითადი თეორიები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთთან ტურიზმსა და ეკონომიკურ განვითარებას, ტურიზმსა და მდგრადობის პრონციპებს, რეგიონულ ტურიზმსა და ლოკალური მოსახლეობის კეთილდღეობას. გარდა ამისა, სამეცნიერო თეორიების ანალიზისა და ჩატარებული კვლევის

საფუძველზე, გამოიყოფა ის ძირითადი ტენდენციები, რაც იკვეთება ქვეყანაში ტურიზმის ზრდის პარალელურად. კვლევის შედეგები პასუხობს მთავარ შეკითხვას: რა გავლენას ახდენს ტურიზმის განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე?

თეორიული კონცეფციების განხილვისას ცხადად დავინახავთ, რომ არსებული მიდგომები ყოველთვის არ არის უნივერსალური და მათი პრაქტიკული განხორციელების შედეგები სხვადასხვა სივრცით არეალებში განსხვავებულია. გარდა ამისა, ამ თეორიებისა და ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზით აღმოვაჩენთ იმ კონკრეტულ კავშირებს, რაც ამ სამეცნიერო მიდგომებსა და სამეგრელოს რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიას შორის არსებობს.

მთავარი ტენდენცია, რაც კვლევის შედეგად იკვეთება არის ის, რომ ამ ეტაპზე, საკვლევ არეალში ტურიზმის განვითარებამ ნაკლებად მოიტანა დადებითი შედეგი ლოკალური მოსახლეობისთვის. ეს განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. ამასთანავე, გამოიკვეთა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ტურიზმის მიმართულებით, მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მდგრადი განვითარების პრინციპებს.

კვლევის შედეგები საინტერესო უნდა იყოს სფეროში ჩართული აქტორებისთვის(და არა მხოლოდ). თემის დასკვნით ნაწილში მოცემული ძირითადი მიგნებები კი დაეხმარება დარგის მკვლევარებს, გამოიყენონ კონკრეტული მაგალითები, როგორც ნიმუში კორელაციისა ტურიზმში მდგრადობის პრინციპსა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას შორის. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულმა საკითხებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სამთავრობო უწყებებს ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებასა და არსებული რეალობის ობიექტურად შეფასებაში.

Annotation

MA Thesis. Kvaratskhelia D. - Socio-Economic and Spatial Aspects of Development of Tourism Industry in Samegrelo Region

The paper deals with the main characteristics of tourism sustainable development in Georgia, with of Samegrelo region case study. Tourism and its development are the most important component in the modern world, especially in the economies of the developing world. This is the main reason why the interest about tourism development is growing fast and therefore its actuality is very high. It is particularly relevant to assess the sustainability of tourism.

For the last two decades, tourism is considered as one of the priority fields Georgia's economy and this is due to several factors. First of all, the main factor is a variety of tourism resources, ranging from the most beautiful and health-specific natural conditions to the most interesting anthropogenic tourism resources.

The purpose of the work is to reveal the main trends that are in the direction of development of the local economy. For this purpose there is identified the theoretical approaches for local economic development and tourism. And also, there are the results of the research conducted in Martvili and Tsalenjikha municipalities.

In the thesis I will discuss the main theories which are connected to tourism and economic development, tourism and sustainability, regional tourism and the well-being of the local population. In addition, based on the analysis of conducted research and the theories in academic literature, I would like to emphasize the main trends, which are shown in parallel with the growth of tourism in the country. The results of the survey will also help us to answer the main question: How does tourism development affect the wellbeing of the local population?

Summary of theories and a research can help us to conclude that the development of tourism in Samegrelo region did not bring significant benefits to local populations. We also see that this is due to a variety of factors in which the role of both the state and the private sector is greater. In addition, we will also see that the steps taken by the government in the direction of tourism are less likely to respond to the principles of sustainable development.

Analysis of the results of the research and its connection to theoretical approaches should be interesting for professionals (and not only) involved in tourism sector. The main findings of the study will help the tourism industry researchers to use concrete examples as the principle/case study, which shows how tourism development affects local economy. In addition, the issues discussed in the paper may provide significant assistance to government agencies in the field of tourism strategy development and objective assessment of the current situation.

სარჩევი

შესავალი.....7

თავი I. კვლევის თეორიული ჩარჩო და არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.....11

1.1. რეგიონული ტურიზმი და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება 11

1.2. ეკონომიკური განვითარების თეორიები 14

1.3. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია.....18

1.4. კავშირი ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის.....21

თავი II - ტურიზმის განვითარება საქართველოში : ისტორიული კონტექსტი და არსებული რეალობა.....24

2.1. საქართველოში ტურიზმის განვითარების მოკლე მიმოხილვა.....24

2.2. ტურიზმი სამეგრელოში.....26

თავი III - ტურიზმის სექტორის როლი სამეგრელოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საქმეში.....29

3.1. საკვლევი არეალების განსაზღვრა.....29

3.1.1. მარტვილის კანიონი და ეკოტურიზმი.....29

3.1.2. კურორტი სქური.....31

3.1.2. ტობავარჩხილი - ახალი ტურისტული მარშრუტი.....32

3.2. რეგიონული ტურიზმის როლი მარტვილის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.....33

3.2.1. კვლევა სამთავრობო/ადმინისტრაციულ რგოლში.....34

3.2.2. კვლევა მცირე და საშუალო ბიზნეს ოპერატორებში.....37

3.2.3. კვლევა ადგილობრივ მოსახლეობაში.....43

3.3. ბალნეოლოგიური კურორტი სქური - არსებული რეალობა და ძირითადი პრობლემები.....45

3.4. ტობავარჩხილი - ახალი მარშრუტი სათავგადასავლო ტურიზმისთვის.....48

თავი IV - სამეგრელოში ტურიზმის განვითარების თავისებურებები - კვლევის ძირითადი მიგნებები.....50

დასკვნა.....54

გამოყენებული ლიტერატურა.....57

დანართი.....60

შესავალი

ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს ეკონომიკაში. ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რასაც ცხადყოფს სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია. მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის(მტო) მონაცემებით, გასული საუკუნის მიწურულს მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობების რაოდენობა 700 მილიონს არ აჭარბებდა 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი 1.3 მილიარდს აღწევდა. გარდა ამისა, მტო-ს პროგნოზით, ეს მონაცემი 2030 წლისთვის 1.8 მილიარდს გადააჭარბებს (UNWTO, 2019).

ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. გარდა იმისა, რომ ტურიზმი ცალკე დარგია, სხვა ინდუსტრიებისგან განსხვავებით, მას მჭიდრო კავშირები აქვს მრავალ სხვა სექტორთან. შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების ფორმირებით, მას შესწევს უნარი, მოსახლეობის მნიშველოვანი ნაწილი ჩართოს ეკონომიკურ აქტივობაში.

სწორედ ტურიზმის ინდუსტრიის მზარდი ტემპები განაპირობებს ეკონომიკური მეცნიერების მკვლევართა მუდმივ ინტერესს მის მიმართ. მუდმივად ხდება კვლევის ახალი მიმართულებებისა და ტურიზმის განვითარების ახალ ჩარჩო-კონცეფციებზე მუშაობა. დღეისთვის, განსაკუთრებით აქტუალურია ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხი. ბოლო რამდენიმე ათწლეულია, მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოადგენს სამეცნიერო წრეების მნიშვნელოვანი განხილვის საგანს. აღნიშნული საკითხი განიხილავს სამ ძირითად მიმართულებას: სოციალურს, ეკონომიკურს და ბუნებრივ გარემოს. ტურიზმი ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელიც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ამ სამივე სფეროსთან. სწორედ ამიტომ, ***ტურიზმისა და მისი მდგრადობის საკითხის აქტუალურობის შესწავლა და მისი შეფასება დღეისთვის ეკონომიკური და სხვა სფეროს მკვლევარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.***

ტურიზმის სექტორის გაძლიერებასა და მის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც. ტურიზმს განვითარებადი სამყაროს ქვეყნებისთვის მოაქვს სხვადასხვა

მნიშვნელოვანი პირდაპირი თუ ირიბი სარგებელი, მათ შორის აღსანიშნავია: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მცირე მეწარმეობის ზრდა, მომსახურების სფეროს გაძლიერება, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა (ქველაძე , ქისტაური , მელაშვილი ;, 2017).

ბოლო ორი ათწლეულია ტურიზმი და მოგზაურობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ქვაყანა გამორჩეულია მდიდარი ბუნებრივი და ანთროპოგენური ტურისტული რესურსებით. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შეფასებით, ქვეყანაში 12 ათასზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია. უწყების მიხედვით, საქართველოში 2018 წელს 8,7 მლნ საერთაშორისო ვიზიტი დაფიქსირდა და მათგან 4,8 მლნ იყო სწორედ ვიზიტი ტურისტული მიზნებით, ხოლო აქედან შემოსავალმა შეადგნა 3,2 მლრდ აშშ დოლარი, რაც ქვეყნის მთლიანი მშპ-ს 7,6%-ია. (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019). საინტერესოა, რომ ეროვნული ადმინისტრაციისვე ცნობით, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ ქვეყანაში 1 მილიონს მხოლოდ 2007 წელს გადააჭარბა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2012. გვ.4).

მიუხედავად სტატისტიკის ზრდისა, ტურიზმის სექტორის ხარისხობრიი ზრდის მაჩვენებლების შეფასების ობიექტური წყაროები ქართულ ლიტერატურაში ნაკლებად მოიპოვება. ამას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ კვლევებში ტურიზმის მიმართულებით ნაკლები ფინანსები და ენერგია იხარჯება. აქვე აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად განსაკუთრებით მრავალფეროვანი ტურისტული რესურსებისა, დღეისთვის ჩვენი ქვეყნის ტურიზმის მთავარ ნიშას ტრადიციული სახეობები - 3S ტიპის და კულტურული ტურიზმი წარმოადგენს. ბოლო რამდენიმე წელია მნიშვნელოვანი გახდა ეკო და სათავგადასავლო ტურებიც. ტურიზმის მდგრადი განვითარების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ამ სახეობების მიმართულებით.

როგორც ვნახეთ, ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. სწორედ აღნიშნული საკითხის კონკრეტული მიმართულებით კვლევას ეთმობა წინამდებარე ნაშრომი.

განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებულია რეგიონული ტურიზმის განვითარებაზე, სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე.

ნაშრომის მთავარ ***მიზანს*** წარმოადგენს მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯერებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეორიულ მიდგომებთან, გამოავლინოს ის ძირითადი დინამიკა/ტენდენციები და გამოწვევები, რაც ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ ახასიათებს რეგიონის ეკონომიკას დარგის სივრცითი ტრანსფორმაციის კუთხით. კვლევის შედეგები კი უასუხებს მთავარ ***საკვლევ შეკითხვას:*** რა გავლენას ახდენს ტურიზმის განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და როგორ ერგება დარგის განვითარების ტენდენციები სხვადასხვა თეორიებს?

მიზნის მისაღწევად დასახული მთავარი ***ამოცანები*** კი არის შემდეგი: ა)ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზით გამოვყოთ სამეგრელოს რეგიონში ტურიზმის განვითარების ძირითადი მახასიათებლები; ბ) შევისწავლოთ, რამდენად არის ეკონომიკური მდგრადობის პრინციპები გათვალისწინებული ტურიზმის სექტორის მშენებლობის პროცესში; გ)მესამე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმის შესწავლა, რამდენად შესწევს ტურიზმს უნარი, გახდეს წამყვანი ინდუსტრია კონკრეტულ რეგიონში და როგორ ახდენს იგი სხვა დარგების სტიმულირებას.

სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა და ტურიზმის ძირითადი კონცეფციების ანალიზის შემდეგ, ***საკვლევ არეალად*** არჩეულ იქნა სამეგრელოს რეგიონი, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. პირველი და უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ რეგიონი ნელ-ნელა ხდება ეკოტურიზმისა და სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელოვანი სივრცე ქვეყნის მასშტაბით. სულ რამდენიმე წლის წინ ათვისებული მარტვილის კანიონი უკვე მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს მის მსგავს სხვა ობიექტებს მეზობელ იმერეთში. გარდა ამისა, სამეგრელოს რეგიონის ინტერესი გამოიწვია აქ არსებულმა სათავგადასავლო მარშრუტმა, რომელიც ასევე, ბოლო რამდნიმე წელია ვიზიტორების მზარდ ინტერესს იწვევს. ეს არის ტობავარჩხილი. და კიდევ უფრო საინტერესოა კურორტ სქურის მაგალითი, რომელიც სამეგრელოს თითზე ჩამოსათვლელი ბალნეოლოგიური კურორტებიდან ერთ-ერთია და რომელიც

დღეისთვის სრულიად უფუნქციოდაა დარჩენილი. საკვლევი არეალის ფარგლებში, ნაშრომი შეეცდება დაასაბუთოს, მდგრადი განვითარების რა პრინციპებს ჰპასუხობს მარტვილის ტურიზმი, რა პერსპექტივა აქვს ტობავარჩხილს და რატომ მოხდა ისე, რომ ერთ დროს მოქმედი ბალნელოგიური კურორტი სრულიად უსარგებლოდაა დარჩენილი.

სამაგისტრო კვლევის ***მეთოდოლოგია*** ეყრდნობა საველე კვლევის შედეგად შეგროვებული მასალის დამუშავებას. ეს კვლევა მოიცავს ორ მნიშვნელოვან ეტაპს: სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას და გამოკითხვას. გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდები სიღრმისეული ინტერვიუს სახით. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მეორადი ლიტერატურული წყაროები და კარტოგრაფიული (GIS ტექნოლოგია) მეთოდები.

სამეგრელოს ტურიზმის შესახებ დღეისთვის სამეცნიერო ლიტერატურა ძალიან მწირია. არ არსებობს მნიშვნელოვანი კვლევები ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების ობიექტურად შეფასებისა და ანალიზისთვის. გარდა ამისა, ნაშრომს ***სხვა მსგავსი კვლევებისგან განასხვავებს*** ის, რომ მასზე მუშაობის პროცესში და კვლევის მაქსიმალურად ობიექტური ანალიზისთვის სიღრმისეული ინტერვიუს სახით გამოკითხულ იქნა სამი მთავარი აქტორი ტურისტული დანიშნულების ადგილზე: ლოკალური მოსახლეობა, მცირე ბიზნესი და სხელისუფლებო/სამთავრობო ადმინისტრაცია.

თავი I. კვლევის თეორიული ჩარჩო და არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. რეგიონული ტურიზმი და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოში. საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ 2016 წელს 1 მილიარდს გადააჭარბა. ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია განვითარებადი სამყაროს ქვეყნებისთვის, რასაც განაპირობებს ის გარემოება, რომ ტურიზმი ქმნის შემოსავლების ახალ წყაროს მოსახლეობისთვის. სწორედ ტურიზმია ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინდუსტრია, რომელიც უშუალოდ თვითონ ან მისი მომიჯნავე დარგების დახმარებით უამრავ ადამიანს ასაქმებს.

ტურიზმის შესწავლა და მისი კვლევა განსაკუთრებით განვითარდა 1950-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ტურიზმის ბუმი დასავლეთში, რაც დაკავშირებული იყო ტრანსპორტის(განსაკუთრებით საავტომობილო და საავიაციო) განვითარებასთან. კონკრეტული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარება უამრავ ლიტერატურაში სხვადასხვა მიმართულებით განიხილება. ერთ-ერთი მიმართულება ეს არის ტურიზმი, რადგან ტურიზმი ეკონომიკური აქტივობაა, რომელშიც ვიზიტორები გადაადგილდებიან კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.

როგორც შესავალში ითქვა, ტურიზმის ინდუსტრია ყოველწლიურად მზარდია როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ამ ზრდის კვალდაკვალ ჩნდება სხვადასხვა პრობლემები და გამოწვევები, რომლებსაც ტურისტული არეალების მიმდებარედ მცხოვრებნი უნდა გაუმკლავდნენ. ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავარი საკითხი, რასაც მასში განხილული თეორიული მდგომები დაუკავშირდება, არის შემდეგი: როგორ შეიძლება გამოიყენოს ადგილობრივმა ეკონომიკამ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ეფექტურად და როგორ შეინარჩუნოს ცხოვრების ხარისხი და ადგილობრივი ბუნება თუ სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობა მზარდი ყურადღების პარალელურად.

დღეისთვის, ტურიზმი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ სექტორად ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ადგილობრივ ეკონომიკებს მოახდინონ ლოკალური ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები და უცხოური ვალუტა. ეს ყველაფერი კი გამოიწვევს ზოგადი ეკონომიკური სურათის გაუმჯობესებას, რეგიონულ განვითარებას, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას და რაც მთავარია, სტიმულირებას ადგილობრივებისა, შექმნან თავიანთი ბიზნესი (Meyer D.F, Meyer N, 2015, p. 197-214).

გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები აერთიანებს სპეციალურ ვალდებულებებს, რომლებიც სიღარიბის დაძლევისკენაა მიმართული. ამავდროულად, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ამბობს, რომ ტურიზმი ქმნის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ზე მეტს, ეს კი მას უდიდეს ინდუსტრიად აქცევს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ტურიზის ინდუსტია ერთ-ერთი უპირველესია, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი სიღარიბის დაძლევას. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას და ეს ძირითადად ხდება ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებსა და ბევრ სასოფლო არეალს. აქ ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ეკონომიკის დარგს იმ მცირეთაგან, რომელზეც შეიძლება დაფუძნდეს ეფექტური განვითარების სტრატეგია (Internetional Centre for Responsible Tourism, 2004).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით კი, ტურიზმის სექტორი დასაქმებისთვის ერთ-ერთი ყველაზე გახსნილია. ორგანიზაციის პოლიტიკის მესვეურებმა ტურიზმი დაასახელეს, როგორც გამოსავალი უამრავი ახალგაზრდა ადამიანის დასაქმების პრობლემიდან (OCED, 2010).

ტურიზმი, პირველ რიგში, ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც ლოკალურ ტერიტორიებს ეხმარება განვითარდნენ ტურისტული ადგილების მიმართულებით. როგორც უკვე აღინიშნა, ტურიზმი, ეს არის გადაადგილება. სწორედ ამიტომ, მას შეიძლება თან მოჰყვებოდეს ბევრი ეფექტი. ზოგი მათგანი უფრო სწორხაზოვანია და ზუსტად უკავშირდება ტურიზმს(მაგ. სტუმართმოყვარეობის განმტკიცება), თუმცა ტურიზმს ბევრი არაპირდაპირი ეფექტიც აქვს. რაც შეეხება კავშირს სივრცესა და

ტურიზმს შორის. ეს კავშირი საკმაოდ ძლიერია, თუმცა მისი აღწერა განსხვავებულად შეიძლება. იგულისხმება, რომ ტურიზმსა და რეგიონს/სივრცეს შორის კავშირი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ განვითარების რა ეტაპზეა ამ ტერიტორიაზე ტურიზმი. სხვადასხვა წყაროები, ტურიზმსა და სივრცეს შორის კავშირების აღსაწერად, ამ კავშირების განვითარების დასახასიათებლად გამოყოფენ სამ ძირითად ფაზას:

- აღმოჩენის ფაზა, როცა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და საწარმოები არაა ორგანიზებული;
- ჩართულობის ზრდის/განვითარების ფაზა, როდესაც კონკრეტულ ტერიტორიაზე ტურიზმი ხდება ეკონომიკის დამოუკიდებელი აქტორი და იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს ადგილობრივი ეკონომიკისთვის;
- და მესამე ფაზა - აზრის განვითარების ეტაპი, როდესაც ტურისტებიც და სხვადასხვა ორგანიზაციებიც კარგად სტრუქტურირებულ ჯაჭვს ქმნიან და აგრეთვე, არეალის ტურისტულ პოლიტიკას კონკრეტული ინსტიტუციები განსაზღვრავენ (Pedrana, 2013, p. 91-99).

ამ მიდგომას სხვაგვარად ტურისტული არეალის სასიცოცხლო ციკლსაც უწოდებენ. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპის დროს ტერიტორიას ტურიზმიდან შეიძლება მიადგეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტები.

დადებითი ეფექტები ძირითადად ეკონომიკასთან და აგილობრივ ეკონომიკურ განვითრებასთან არიან დაკავშირებულნი. შემოსავლების ზრდა და დასაქმება - ეს არის მთავარი პოზიტიური გავლენა ტურიზმისა განსაზღვრულ რეგიონზე. მეორე მნიშვნელოვანი ეფექტი ეკოლოგიასთანაა დაკავშირებული. ხშირად, მიუხედავი ტერიტორიები ეკოლოგიურ ,,ნაგავს'' ქმნიან, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი ათვისება ხდება ტურიზმისთვის, ტერიტორიის მოსავლელადაც იქმნება ფინანსური ბაზა.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, დადებითთან ერთად, ტურიზმის განვითარებას ტერიტორიისთვის შესაძლოა უარყოფითი ეფექტებიც მოჰყვეს. შესაძლოა გაუარესდეს ბუნებრივი, სოციალური და კულტურული გარემო. განსაკუთრებით ეს საფრთხე

იკვეთება მეორე, განვითარების ფაზის დროს, როცა მასობრივი ტურიზმი იკიდებს ფეხს და შესაბამისად, ,,მასობრივ ტურისტებსაც'' იზიდავს რეგიონი (Pedrana, 2013, p. 91-99).

ტურიზმის განვითარების შედეგად ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ პირველი კვლევები 1960-იან წლებში გამოჩნდა. სხვადასხვა ნაშრომები, ტურიზმსა და სივრცეს შორის კავშირის განხილვისას, გამოყოფენ განსხვავებებს სამ რეგიონს შორის : გამგზავნი რეგიონი, ე.წ. ტრანზიტული რეგიონი და მიმღები რეგიონი.

როგორც ამ ქვეთავში გამოჩნდა, სწორედ ტურიზმია ის დარგი, რომელსაც შესწევს უნარი, რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შესარულოს. სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში, მის დასაქმებასა სხვა სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღებაში ტურიზმის როლს იკვლევს აღნიშნული ნაშრომი.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ის ძირითადი შედეგები რაც რეგიონული ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ გვხვდება ქართულ რეალობაში., განსაკუთრებით საინტერესო იქნება ზემოთ განხილული თეორიული საკითხების შედარება პრაქტიკულ გამოცდილებასთან. როგორც რეგიონული ტურიზმის შესახებ მასალების კვლევამ გამოავლინა, კონკრეტულ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებას ამ ტერიტორიისთვის შესაძლოა ჰქონდეს მრავალი ეფექტი, რომელთა კლასიფიკაციაც შესაძლებელია მათი კეთილდღეობის მიხედვით. სწორედ ნაშრომის მეორე ნაწილში ვნახავთ, რამდენად გამართლდა ის პოზიტიური თუ ნეგატიური მოლოდინები ტურიზმის განვითარების გზაზე კონკრეტულ რეგიონსა და რაიონებში.

1.2. ეკონომიკური განვითარების თეორიები

როგორც შესავალში აღინიშნა, ნაშრომის მიზანი იმის წარმოჩენაა, რამდენად არის ერთმანეთთან შესაბამისობაში სამეგრელოს რეგიონის ტურიზმის განვითარება და ეკონომიკურ მეცნიერებაში აღიარებული განვითარების თეორიები. ნაშრომი ეყრდნობა ეკონომიკური განვითარების თეორიებს, კონკრეტულად: *ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის თეორიას, რაციონალური მოლოდინის თეორიასა და არტურ ლუისის განვითარების(დუალისტური ეკონომიკის) თეორიას.*

ბალანსირებული და არაბალანსირებული ეკონომიკური ზრდის თეორია გულისხმობს იმას, რომ რეგიონის განვითარების საქმეში ყველა ეკონომიკური აქტორი მონაწილეობს. სხვა შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც წამყვანი როლი აქვს, მოქმედებს, როგორც კატალიზატორი სხვა დარგებისთვის.

ბალანსირებული ზრდის თეორიის მთავარი მიმდევრები, როდანი, ნურკსე და ლევისი მიიჩნევდნენ, რომ რეგიონის განვითარებისათვის მის ეკონომიკაში უნდა მოხდეს ინვესტიციების სტიმულირება ყველა სექტორში, რათა მიღწეულ იქნეს ეკონომიკის ბალანსირებული ზრდა. თეორიის მიხედვით, ინერტული და სტაგნაციური ეკონომიკის პირობებში, შეუძლებელი ხდება მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორში ინვესტირებამ შედეგი მოიტანოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის ყველა სექტორი ერთდროულად უნდა გაიზარდოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და ექსპორტის სათანადო დაბალანსებით. ამ დარგების ერთმანეთისგან იზოლირება ვერ მოხდება, ამიტომ, სექტორი ვერ იქნება ქმედითი, თუ დარგების ერთმანეთისგან იზოლირება და დამოუკიდებლად განვითარება არ მოხდება (Cooper Ch., Fletcher J., Fyall S., and Wanhill S., 2008. p.248)

ბალანსირებული ზრდის თეორიის ალტერნატიულია არაბალანსირებული ზრდის მიდგომა, რომლის ერთ-ერთ ავტორად მიიჩნევა ალბერტ ჰირშმანი. ის მიიჩნევდა, რომ ბალანსირებული ზრდის მოდელის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი განხორციელებისთვის ძალიან დიდი კაპიტალია საჭირო, რასაც განვითარებადი ქვეყნები მოკლებულნი არიან. არაბალანსირებული ან იგივე დაუბალანსებელი ზრდის თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ თუკი ინვესტირება თავდაპირველად მხოლოდ ცალკეულ ან რამდენიმე სექტორში მოხდება, მთავარი დარგის გამოცოცხლება დანარჩენი დარგების წინსვლასაც გამოიწვევს. მიდგომის მიხედვით, თავდაპირველად, ინვესტიციებმა შესაძლოა დაარღვევიოს წონასწორობა ეკონომიკურ დარგებს შორის, მაგრამ ეს დროებითი ხასიათის ეფექტი იქნება და სამომავლოდ, მხოლოდ დადებით როლს ითამაშებს, რადგან ხელს შეუწყობს ახალი ინვესტიციების სტიმულირებას (მექვაბიშვილი, 2016. გვ, 254).

დაუბალანსებელი ზრდის თეორია ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ მიდგომის მიხედვით, მთავარი სექტორის როლში შესაძლოა ტურიზმი მოგვევლინოს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ ტურიზმის ინდუსტრია გამორჩეულია მრავალი კავშირით სხვა დარგებთან და ხშირად, ეს კავშირები ბევრად ფართოა, ეკონომიკის სხვა მრავალი დარგისგან განსხვავებით.

ნაშრომის მეორე ნაწილში მოცემული კვლევა დაგვანახებს, რომ სამეგრელოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები უფრო მეტად არაბალანსირებული ზრდის თეორიას ერგება, ვიდრე მის ალტერნატიულ ვერსიას - დაბალანსებურ განვითარებას.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზი არის არა საერთაშორისო ფირმების და განვითარებული სახელმწიფოების დომინირება, არამედ, ადგილობრივი მთავრობების საშინაო პოლიტიკა, კერძოდ, რესურსების არათანაბარი განაწილება, ფასების დამახინჯება და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ძლიერი ჩარევა (Meier, 2000, p.19). გარდა ამისა, აღნიშნული თეორიის ცალკეული მიმდევრები განსხვავებული მიმათულებით განიხილავენ ეკონომიკურ განვითარებასა და მისი წარმატების მთავარ საფუძვლებს. ნეოკლასიკური თეორია დიდ ყურადღებას უთმობს საერთო წონასწორობის მდგომარეობას და ეკონომიკურ სისტემას სხვადასხვა გაწონასწორებული ბაზრების განზოგადოებული ერთობლიობის სახით განიხილავს.

ნაშრომი ნეოკლასიკური თეორიებიდან დაეყრდნო ორ მათგანს: *ლუისის განვითარების თეორია და რაციონალური არჩევანის თეორია.*

უილიამ არტურ ლუისი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, გვთავაზობს ეკონომიკური განვითარების მისეულ მიდგომას, რომელიც მიეკუთვნება სტრუქტურული გარდაქმნების შესახებ არსებულ შეხედულებებს განვითარებად ქვეყნებში. ***ლუისის განვითარების თეორიის*** მიხედვით, ეკონომიკა იყოფა ორ სექტორად: ტრადიციულ და თანამედროვე სექტორებად. ტრადიციულს ის მიაკუთვნებს ნატურალურ სოფლის მეურნეობას, ხოლო თანამედროვეს, ქალაქის მრეწველობას. ამ თეორიის მთავარი პოსტულატი არის ის, რომ პირველი სექტორი ფლობს ჭარბ სამუშაო

ძალას და მათი გამოყენება მეორე სექტორში მის(მეორე სექტორის) ეფექტიანობას გაზრდის ისე, რომ არ შემცირდება მოსავლიანობა პირველ სექტორში (აბესაძე, 2015. გვ. 26).

ლუისის თეორიას დუალისტური ეკონომიკის კონცეფციასაც უწოდებენ. მისი აზრით, ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია რესურსების გადანაწილება სექტორებს შორის და მეცნიერი მოდერნიზაციას განიხილავს, როგორც სექტორებს შორის მატერიალური და შრომითი რესურსების გაცვლის პროცესს (მექვაბიშვილი, 2016. გვ.260).

დუალისტური ეკონომიკის თეორია შესაძლებელია მივუსადაგოთ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებს. მასში ერთ-ერთ საკვანძო სექტორად შესაძლებელია განვიხილოთ ტურიზმი. კერძოდ, ის შესაძლებელია მივიჩნიოთ თანამედროვე სექტორად. აღნიშნულ თეორიას დაეყრდნო სწორედ ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც იკვლევს იმას, თუ რამდენად დაემთხვა თეორიაში გამოთქმულ მოსაზრებას სამეგრელოს რეგიონში არსებული რეალობა. კერძოდ, რამდენად მოხდა სამუშაო და ფინანსურ ძალთა გაზიარება სექტორებს შორის, მას შემდეგ, რაც ტრადიციული სოფლის მეურნეობის მხარეში თანამედროვე დარგი, ტურიზმი გამოჩნდა, როგორც პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორი.

ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ***რაციონალური მოლოდინის თეორია*** წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, ეკონომიკური აქტორები საკუთარი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციას რეალური ცვლადების გამოყენების მიხედვით ახორციელებენ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ისინი გადაწყვეტილებას კონკრეტული ინფორმაციისა და დასაბუთებული ვარაუდების საფუძველზე იღებენ. ამ თეორიის მიხედვით, ითვლება, რომ ყველა ეკონომიკურ სუბიექტს მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია აქვს და იგი ნაკლებად აქცევს ყურადღებას ისეთ ისაკითხებს, რაც უშუალოდ მის საქმიანობასთან არაა დაკავშირებული. შედეგად, არასრულყოფილი ინფორმაცია შემდგომში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეცდომების დაშვებას განაპირობებს. რაციონალურ მოლოდინების თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ იმის გამო, რომ

ეკონომიკური სუბიექტი არასაკმარის/შეზღუდულ ინფორმაციას ეფუძნება, ეკონონომიკური საქმიანობა რისკის შემცველია (მექვაბიშვილი, 2016. გვ. 79-80).

რაციონალური მოლოდინების თეორია განსაზღვრავს იმგვარ მოლოდინებს, რომელიც საუკეთესო იქნება მომავლის განსაზღვრისთვის (ოპტიმალური პროგნოზი). ამდენად, ეს მოლოდინები და შედეგების პროგნოზირება მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს ბაზარზე არსებული შედეგებისგან. თეორია მიიჩნევს, რომ ვარაუდის პროცესში თითოეულ სუბიექტში გარკვეული ეკონომიკური მოდელი ყალიბდება და ადამიანები არ უშვებენ სისტემურ შეცდომებს მომავლის პროგნოზირებისას (Muth, 1961. p.315).

ნაშრომში, რაციონალური მოლოდინების თეორია მიესადაგება კვლევის იმ ნაწილს, რომელიც ეხება კერძო ბიზნესის წარმომადგენლების მოლოდინებსა და მოტივაციებს. კერძოდ, ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამებისას დავინახავთ, თუ როგორი იყო მოლოდინები ტურიზმის სფეროში ჩართული კერძო სექტორიდან და რამდენად მართლდება ეს მოლოდინები. ასევე, კვლევის შედეგებით დავასკვნით რამდენად გამართლდა რაციონალური მოლოდინების თეორიის მიერ შემოთავაზებული თეზისი, იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სუბიექტების პროგნოზი ემთხვევა ბაზრის რეალურ სურათს და იგი არ განსხვავდება რეალური მოლოდინებისგან.

1.3. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია

ზოგადად, მდგრადი განვითარების კონცეფცია თავდაპირველად შემოგვთავაზა ბრენდტლანდის კომისიამ, რომელიც მას განმარტავდა როგორც ,,განვითარებას, რომელიც შეესაბამება დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მომავალი თაობებისთვის თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლო შეზღუდვის გარეშე'' (Report of the World Commission on Environment and Development, 1987).

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ტურიზმის მდგრადობა გულისხმობს, ინდუსტრიის ისეთ განვითარებას, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტებისა და მასპინძელი რეგიონების მოთხოვნილებებს და ამავდროულად, იცავს და ზრდის სამომავლო შესაძლებლობებს (Butler, 1999, p. 7-25). ტურიზმის მდგრადი განვითარების

შესწავლისას განიხილავენ რამდენიმე ძირითად მიმართულებას: გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. ტურიზმის მდგრადი განვითარება უნდა გულისხმობდეს:

- ბუნებრივი გარემო რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, რაც წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის განვითარების საკვანძო ელემენტს;
- მასპინძელი თემების სოციალურ-კულტურული თავისებურებების პატივისცემას, მათი ცოცხალი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაცვას და კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის განვითარებას;
- თემის ეკონომიკურ გაძლიერებას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფოს როლს. ბიზნესის განვითრებისათვის სახელმწიფო უწყებები ქმნიან ისეთ პირობებს, რომ ბიზნესი და ადგილობრივი თემი(ან სახელმწიფო) ეკონომიკურად ერთდროულად ძლიერდებიან. აქვე უნდა აღინიშნოს მეორე მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ კომპანიებს შეუძლიათ შექმნან სიმდიდრე და ამ საქმეში სახელმწიფოს როლი ძირითადად განისახღვრება ინოვაციების სტიმულირებითა და სტრუქტურულ ცვლილებებთან ადაპტაციის დაჩქარებით (Tahiri A.; Kovaci I., 2017, p. 345) .

მდგრადი ტურიზმი, ეს არის ტურიზმი, რომელსაც შეუძლია ადგილობრივი ეკონომიკის შენარჩუნება და მისი განვითარება გარემოზე ზიანის მიყენების გარეშე. იგი არ უნდა ჩაერიოს სოციალური ორგანიზაციის უკვე დანერგილ ფორმებში და მან უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი თემების მიერ დაწესებული ყველა შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, რამდენად მომგებიანი იქნება ამ შეზღუდვის დანერგვა ეკონომიკურად (Butler, 1999, p. 7-25).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგრადი განვითარების კონცეფცია გამოყოფს რამდენიმე ტიპის მდგრადობას, თუმცა ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში ძირითადად განხილურლია ტურიზმის მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ეს გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლის მიღებას და კეთილდღეობას საზოგადოების სხვადასხვა დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

საწარმოების და საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობა და ამ უნარის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში (Barbier, 1987, p. 101-110). მდგრადი ტურიზმი და ეკონომიკა კი მნიშვნელოვან კავშირს ქმნიან.

სამუშაო ადგილების შექმნის გარდა, ტურიზმის ზრდას და მისი მდგრადობის დანერგვას კონკრეტული ტერიტორიებისთვის აქვს სხვა ბევრი დადებით პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება. მისი განვითარება იწვევს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც თავის მხრივ ადგილობრივებს მისცემს საშუალებას განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები. გარდა ამისა, იგი აფინანსებს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეოცე საკუკუნის მეორე ნახევრიდან ტურიზმის სწრაფი ზრდის კვალდაკვალ, ტურისტულ არეალებში გაჩნდა მრავალი პრობლემა, რომლებმაც განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა ეკოლოგიასა და კულტურას. სწორედ ამ ნეგატიური ეფექტების შემცირებისკენაა მიმართული ტურიზმში მდგრადობის პრინციპების დანერგვა. (ქველაძე , ქისტაური , მელაშვილი ;, 2017, გვ. 2-13)

ტურიზმი იყენებს ტერიტორიასა და მის გარემოს როგორც მის პირველად რესურსს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მდგრადობისა და გარემოს მკაცრი დაცვისკენ. მდგრადი ტურიზმი უნდა ახერხებდეს ტურისტული საქმიანობის ისე წარმართვას, რომ არ შეიცვალოს ბუნებრივი, კულტურული და სოციალური გარემო და ამავდროულად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება იყოს ხელშეწყობილი. (Pedrana, 2013, p. 91-99)

მდგრად ტურიზმს ხშირად უპირისპირებენ მასობრივ ტურიზმს და მას სხვაგვარად ,,მწვანე'' ან ,,ალტერნატიულ'' ტურიზმსაც უწოდებენ და ამით ცდილობენ მდგრადი ტურიზმის დარგები განაცალკევონ და არ განიხილონ ის მასობრივი ტურიზმის კონტექსტში. ამ ხედვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მასობრივი ტურიზმი ავტომატურად აღარ არის მდგრადი და აქედან გამომდინარე, მას არაფერი აქვს საერთო მდგრად განვითარებასთან. მასობრივი ტურიზმის ყველაზე მწვავე კრიტიკოსები მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის ალტერნატიული ფორმების მხარდამჭერები არიან და მიიჩნევენ, რომ ამ მხარდაჭერით ხელს უწყობენ ,,ძველის'' გაქრობას. (Butler, 1999, p. 7-25)

თუმცა, ცალსახად იმის მტკიცება, რომ მდგრადი და მასობრივი ტურიზმი განხილულ იქნეს ცალ-ცალკე, პრობლემატური საკითხია.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია დაედო საფუძვლად კვლევის იმ ნაწილს, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა, დაედგინა რა ტიპის სარგებელი მოაქვს ადგილობრივი ეკონომიკებისთვის ტურიზმს და როგორ აისახება მისი განვითარება რიგითი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

1.4. კავშირი ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის

ნაშრომში განხილული მაგალითები ტურიზმის გავლენისა ადგილობრივ ეკონომიკაზე, სწორედ სასოფლო ტურიზმის მნიშვნელოვან კომპონენტებს ეხება, რადგან სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა საკვლევი არეალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასაზრდოებელს ადგილობრივებისთვის. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ნაშრომში განხილულიყო ის კავშირები ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის, რაც შეიძლება გამოვლინდეს სასოფლო არეალებში ეკონომიკის ამ დარგის გამოცოცხლების შემთხვევაში. კვლევის შედეგების განხილვისას ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად გაამართლა სოფლის მეურნეობის შესახებ არსებულმა თეორიულმა მიდგომებმა საკვლევ არეალებში, რა პრობლემები და პოზიტიური ტენდენციები გამოვლინდა აღნიშნული მიმართულებით.

როგორც მანამდეც აღინიშნა, ტურიზმს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მჭიდრო კავშირები აქვს ეკონომიკის მრავალ სექტორთან. ბევრ ტურისტულ არეალში , ტურიზმი მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობასთან. წინა ქვეთავში აღნიშნული მდგრადობის თეორიის მიხედვით, სასოფლო ტერიტორიებზე ტურიზმმა უნდა უზრუნველყოს მეურნეობის შენარჩუნება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა ხარისხისა და მისი წარმოების ისე გაზრდა, რომ ის გამოყენებულ იქნეს ტურისტულ ობიექტებში. ამას კი თავის მხრივ, რეგიონისთვის მოჰყვება არაპირდაპირი (ფერმერებისთვის, პირდაპირი) შემოსავლების ზრდა ტურიზმიდან.

წელიწადის ნებისმიერ დროს, მაღალი ხარისხის პროდუქტები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასტუმროებისთვის, რესტორნებისა და კურორტებისთვის. აქედან

გამომდინარე, ადგილობრივი ფერმერებისთვის დიდი უნდა იყოს ტურიზმიდან სარგებლის მიღების მოლოდინი, თუმცა საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ რეალურად, ძალიან ცოტა იხარჯება ადგილობრივ მეურნეობებში მაშინაც კი, როცა ისინი ტურისტული რაიონების სიახლოვეს მდებარეობენ. ადგილობრივად პროდუქტების მოძიების ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება არ არის მარტივი, თუმცა, ვარაუდის დონეზე შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი - არაადეკვატური ხარისხი, საინდოობის ხარისხი, წარმოების მოცულობა, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა პროდუქტის გამყიდველსა და მის შემძენს შორის. (Business Implementation of Pro Poor Tourism: Case Study Briefs, 2004)

ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის არსებულ კავშირებზე მოქმედი ფაქტორების ნაწილი შეჯამებულია ცხრილში #1. მათი დაძლევის სტრატეგიები ნაკლებად ცნობილია და შესაბამისად, ამ სტრატეგიების განხორციელება დამოკიდებულია უშუალოდ კონკრეტულ მომენტში მიმდინარე გამოწვევებზე.

მოთხოვნაზე დაფუძნებული ფაქტორები	მიწოდებაზე დაფუძნებული ფაქტორები	მარკეტინგული და შუალედური[რგოლის] ფაქტორები
▪ ვიზიტორთა განთავსების საშუალებების ტიპები საკუთრების, ზომისა და კლასის მიხედვით; ▪ ტურიზმის ინდუსტრიის სიმწიფე; ▪ ტურისტის ტიპი; ▪ ადგილობრივი სამზარეულოს რეკლამირება/ხელშეწყობა.	▪ ფიზიკური შეზღუდვები; ▪ დამკვიდრებული წარმოების მოდელი[წარმოება, რომელსაც გააჩნია მყარი პოზიციები ბაზარზე] (მაგ. საპლანტაციო კულტურები ექსპორტისთვის); ▪ ადგილობრივი წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები; ▪ ადგილობრივად წარმოებული	▪ მარკეტინგული და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები; ▪ მოთხოვნაზე ცუდად მორგებული მიწოდება; ▪ მიწოდების სივრცითი ნიმუშები.

	საკვების მაღალი ფასები; ▪ ტექნოლოგიური და გადამუშავების შეზღუდვები.	

ცხრილი #1: ფაქტორები, რომლების გავლენას ახდენენ ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირებზე და ამ კავშირების სიძლიერეზე (Business Implementation of Pro Poor Tourism: Case Study Briefs, 2004)

სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს შორის არსებულ კავშირებს ხშირად სქემატურადაც ასახავენ. აღნიშნული კავშირების ერთ-ერთი მოდელი ნაჩვენებია ილუსტრაცია #1 - ზე(იხ.დანართი). სქემა გვიჩვენებს ბაზრის, რესურსებისა და წარმოების ურთიერთქმედებას სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს შორის. სქემის ზედა ნაწილი ასახავს გარე ეკონომიკას, საიდანაც ტურისტები მოდიან და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებიან. ისრები წარმოადგენენ რესურსების, საქონლის, მოსახურებისა და ტურისტების ნაკადებს. როგორც სქემაზე ვხედავთ, ტურისტები წარმოადგენენ არაპირდაპირი და პირდაპირი მოთხოვნილებების წარმომქმნელ ელემენტებს, ტურისტულ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და მომსახურებისთვის.

თავი II - ტურიზმის განვითარება საქართველოში : ისტორიული კონტექსტი და არსებული რეალობა

2.1. საქართველოში ტურიზმის განვითარების მოკლე მიმოხილვა

ტურიზმის განვითარება საქართველოში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო, მასშტაბური ხასიათი კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში მიიღო. ამ პერიოდში იწყება მუშაობა კურორტების განვითარებაზე, სანატორიუმებსა და ტურ-ბაზებზე. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, საქართველოს ტურისტული ქვეყნის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული. გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის, ქვეყანაში განთავსების საშუალებების რაოდენობა 600-ს აჭარბებდა. ამ პერიოდში, ყოველწლიურად საქართველოში საკმურნალოდ ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა 4 მილიონზე მეტი იყო (შუბლაძე, 2006, გვ.74-75). ასევე, აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების ბოლოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებით საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე იყო, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. ამ პერიოდში 102 კურორტი ფუნქციონირებდა და მათი ძირითადი ნაწილი ზღვისპირა და მთიან რაიონებშია მოქცეული. საქართველოს ტურიზმის პოტენციალზე და მის მრავალფეროვნებაზე მსჯელობა ამ პერიოდის კურორტების სახეობების განხილვითაც შეიძლება. ამ კურორტებიდან სახეობის მიხედვით განაწილება შემდეგი იყო:

- კლიმატური - 44 კურორტი;
- კლიმატურ-ბალნეოლოგიური ან ბალნეოკლიმატური - 31 კურორტი;
- ბალნეოლოგიური - 28 კურორტი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; *საქართველოს გეოგრაფია;* 2013, გვ.287-288)

1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, იწყება ტურიზმის, ისევე როგორც ეკონომიკის ყველა სხვა დარგის დაღმასვლა. შეიცვალა და განადგურდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. მძიმე პოლიტიკურმა და სოციალური-

ეკონომიკურმა სიტუაციამ თითქმის სრულად მოშალა სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სხვა ტურისტული ობიექტების უმრავლესობა (ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია, ოქროცვარიძე ლ., 2011, გვ.207).

1990-იანი წლების პირველი ნახევრის შემდეგ, ტურიზმში კვლავ გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები. 1995 წლიდან იწყება ტურისტების რაოდენობის ზრდა და ხუთი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 300 ათასს გადააჭარბა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საეხლმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, 2013, გვ. 173). 2000-იანი წლებიდან უკვე იწყება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საქართველოს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე დაბრუნების მცდელობები. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით(2004), 1999-2003 წლებში კერძო ინვესტიციებით აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 300 ახალი სასტუმრო და სასტუმრო სახლი. ტურიზმის განვითარებაზე განსაკუთრებული შედეგები იქონია ისეთმა საკანონმდებლო ნაბიჯებმა, როგორიც იყო პროექტი ,,საგადასახადო კოდექსში ცვლილებათა დამატების შესახებ'', რომლის მიხედვითაც, სასტუმროების მშენებლებს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები უწესდებოდათ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის ბრძანება ,,ტურიზმის განვითარებისათვის სათანადო ცენტრების შესაქმნელად ტერიტორიების დამაგრების შესახებ''. გარდა ამისა, 2000-იანი წლებიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო კერძო ინვესტორების მოზიდვას, ამან კი, თავის მხრივ, დადებითად იმუშავა ტურიზმისა და მისი მომიჯნავე მრავალი დარგის გამოცოცხლების საქმეში. (შუბლაძე, 2006, გვ.93-95).

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ტურიზმის დარგის სწრაფი ტემპებით განვითარება, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, იმ ვიზიტორთა რაოდენობა, რომელთაც ქვეყნის ტერიტორიაზე დაჰყვეს 24 საათით და მეტი დროით, 2009-2018 წლებში გაიზარდა თითქმის 4,5-ჯერ და 2018 წელს შეადგინა 4,756,820 ადამიანი(იხ.დიაგრამა #1) (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013-2018). ამასთანავე, საინტერესოა ის

ფაქტიც, რომ მუდმივად მზარდია საერთაშორისო ტურისტების წარმოშობის გეოგრაფიაც და ის სცდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სივრცეს.

მნიშვნელოვანია ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზეც. 2018 წლის მონაცემებით, მშპ-ში ტურიზმის ხვედრითი წილი 7,6%-ს შეადგენდა რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 1,1%-ით მეტია. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის და მისი მომიჯნავე სექტორების გავლენა დასაქმებაზე, რადგან, როგორც პირველ თავში აღინიშნა, ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინდუსტრიას, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ახალი სამუშაო ადგილების რიცხვს. ამ მიმართულებით საქართველოში სტატისტიკა 2013-2015 წლებში 160 ათასის ფარგლებში მერყეობდა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013-2015).

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ბოლო წლებში შემუშავდა ტურიზმის განვითარების სტრატეგია : ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025'', რომელშიც განხილულია არსებული გამოწვევები და ასევე, სამომავლო გეგმები. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი როლი ეთმობა მდგრად განვითარებას და იგი ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპადაა მიჩნეული კერძო სექტორთან, სახელმწიფოს ჩართულობასთან, ბაზრის პრიორიტეტულობის განსაზღვრასთან ერთად. სტრატეგიის მიხედვით ტურიზმის *,,განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ,,ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების'' - ,,გეოტურიზმის''კონცეფცია''* (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015).

2.2. ტურიზმი სამეგრელოში

სამეგრელოს რეგიონი მოიცავს მდინარეების რიონის, ენგურის, ცხენისწყლისა ხეობებსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის არსებულ ტერიტორიას. იგი კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთის ზოლში მდებარეობს. აქ გავრცელებულია როგორც დაბლობი, ისე გორაკ-ბორცვიანი და ხეობის ტიპის რელიეფი. სამეგრელოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზეა მოქცეული კოლხეთის ეროვნული ნაკრძალი, რომელიც აქ არსებული ენდემური ცხოველთა და მცენარეთა სახეობებითაა

გამორჩეული. სამეგრელო მდიდარია სხვადახხვა ტურისტული რესურსებით. აქ გვხვდება:

- მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ობიექტები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: ნოქალაქევი, მარტვილის დადიანების საზაფხულო რეზიდენცია და მარტვილის მონასტერი, რუხის ციხე, ზუგდიდის დადიანების სასახლე, ცაიშისა და წალენჯიხის კათედრალები, ხობის, სქურისა და კორცხელის სამონასტრო კომპლექსები, ფოთისა და ზუგდიდის საკათედრო ტაძრები და სხვა (საქართველოს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, 2019);
- კურორტები - ბალნეოლოგიური: მენჯი, სქური, ცაიში; კლიმატური: ანაკლია, მალთაყვა; კლიმატურ-ბალნეოლოგიური: ლებარდე(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; *საქართველოს გეოგრაფია;* 2013, გვ.297-300).

ბოლო რამდენიმე წელია, სამეგრელოში ასევე განვითარდა სათავგადასავლო და ეკოტურიზმის მარშრუტები და ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს ამ მიმართულებით იწვევენ მარტვილის გაჭედილის კანიონი(ეკოტურიზმი) და ტობავარჩხილის ტბა (სათავგადასავლო).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით 2003-2018 წლებში, სამეგრელოს სტუმრობდა ქვეყნის ვიზიტორთა 7-8%(იხ. დანართი, რუკა #1). იმის მიუხედავად, რომ ეს მაჩვენებელი უცვლელია, ამავე უწყების ცნობით, მზარდია ამ ვიზიტორებს შორის დასვენების, გართობის ან რეკრეაციის მიზნით შემოსულთა რაოდენობა და ეს მაჩვენებელი 6,1%-დან 8,5%-მდე გაიზარდა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013-2018).

საინტერესოა ამავე უწყების მიერ დამუშავებული ინფორმაცია განთავსების საშუალებებთან დაკავშირებით. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალურ მონაცემებში ჩანს, სამეგრელო პირველ ადგილზეა საქართველოში განთავსების საშუალებების რაოდენობით და ის ამ მიმართულებით უსწრებს

ტურისტებისთვის ისეთ მიმზიდველ რეგიონებს, როგორებიც არიან აჭარა და თბილისი(იხ.რუკა#2). თუმცა, როგორც რუკა#2 გვიჩვენებს, ნომრების საერთო რაოდენობის მიხედვით რეგიონი მხოლოდ მეოთხე ადგილზეა, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს რომ რეგიონში რეგისტრირებულ განთავსების საშუალებათა უმეტესობა საოჯახო ტიპის სასტუმროა. ამას ადასტურებს ის სტატისტიკური მონაცემიც, რომლის მიხედვითაც, რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების 60%-ზე მეტში ხუთი და ხუთზე ნაკლები ადგილია, ხოლო 28%-ში 6-10 ოთახი(იხ.დიაგრამა #1) (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019).

თავი III - ტურიზმის სექტორის როლი სამეგრელოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საქმეში

3.1. საკვლევი არეალების განსაზღვრა

როგორც წინა თავში აღინიშნა, სამეგრელო გამორჩეულია მრავალფეროვანი ტურისტული რესურსებით. დღეისთვის ამ ტურისტული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი აუთვისებელია ან მხოლოდ ნაწილობრივაა ათვისებული. სწორედ ტერიტორიის მასშტაბებმა და ამ რესურსების სიმრავლემ განაპირობა საკვლევად მხოლოდ რამდენიმე ობიექტის არჩევა.

კვლევის პროცესის დაგეგმვისას, საკვლევი არეალების განსასაზღვრად და შემდგომში შედეგების გენერალიზებისათვის აღებულ იქნა სამი განსხვავებული არეალი: მარტვილის კანიონი, კურორტი სქური და ტობავარჩხილის ტბები. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული მახასიათებელი აქვს და ყველა განსხვავდება ერთანეთისგან როგორც ტურისტულად, ისე გეოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

საკვლევი სივრცის განსაზღვრისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნა მხედველობაში მიღებული:

- გეოგრაფიული ფაქტორი;
- ტურიზმის ფაქტორი;
- ისტორიული გამოცდილების ფაქტორი.

თითოეულ მათგანზე შემდეგ ქვეთავებში ვისაუბრებთ.

3.1.1. მარტვილის კანიონი - ეკოტურიზმის ცენტრი სამეგრელოში

მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ გაჭედილის ტერიტორიაზე, მდინარე აბაშის ხეობაში მდებარეობს მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი, რომელიც წარმოადგენს კანიონისებურად გაჭრილ ხეობას. აღნიშნულ ხეობაში აღმოჩენილია 75

მილიონი წლის წინ დედამიწაზე მცხოვრები ცხოველების გაქვავებული ძვლები. ეს აღმოჩენა 2010 წელს გაკეთდა. სწორედ ამავე წელს, ტერიტორია ნაკრძალად გამოცხადდა (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2019).

2010 წლიდან მოყოლებული, კანიონის ტერიტორიაზე, სოფელ ინჩხურის მოსახლეობამ დაიწყო კანიონის ტერიტორიის ათვისება ტურისტული მიზნებით. შეიქმნა ტურისტული ზონა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეძენილი ნავებითა და სხვა აღჭურვილობით ხდებოდა მომსახურება. 2015 წლიდან ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სააგენტო ოპერირებს. სწორედ ამ წლიდან ხდება ტერიტორიაზე ვიზიტორთა შესახებ სტატისტიკის აღრიცხვა.

აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, კანიონის ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (იხ.დიაგრამა #2). საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ დღეისათვის ტერიტორიაზე მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრი და განსხვავებით მანამდე არსებული სიტუაციისგან, აქ მოწესრიგდა ტერიტორია, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, გაიზარდა უსაფრთხოების ზომები. ამის პარალელურად, გაიზარდა მომსახურების ფასიც. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმების სტატუსი თუ ფორმა შეიცვალა, რომლის შესახებაც კვლევის ძირითად ნაწილში იქნება ყურადღება გამახვილებული.

საველე კვლევის მთავარი ნაწილი სწორედ მარტვილის კანიონში ჩატარდა და მისი მიზანი ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ ეკონომიკაზე მისი გავლენის შესწავლა იყო. *მარტვილის კანიონზე არჩევანი შეჩერების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ტერიტორია წარმოადგენს სამეგრელოს რეგიონში ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კერას. გარდა ამისა, აქ განვითარებულია ეკოტურიზმი, რაც მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით ტურიზმის ერთ-ერი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობაა.* აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი თეორიული საყრდენი კი სწორედ მდგრადი განვითარების კონცეფციაა.

ეკოტურიზმი, ტურისტული სფეროს განსაკუთრებული სექტორია, რომლის მიზანი ბუნების ობიექტებისა და მოვლენების შეცნობა, აქტიური დასვენება და გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაა. მისი მიზანია არა მარტო ადამიანის აქტიური

მოძრაობა, ან გადაადგილება ბუნებაში, არამედ მისი ეკოლოგიური განათლება და ჰარმონიაში შესვლა ბუნებასთან. საერთაშორისო ტურიზმის ტენდენციები აჩვენებენ, რომ ეკოტურიზმი, ტურიზმის სხვა სახეობებს შორის ყველაზე პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი ფორმაა (სააკაშვილი, ჩილინგარაშვილი, 2011, გვ.114).

3.1.2. კურორტი სქური

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 15 კილომეტრში, მდინარე აბანოსღელეს (ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობაში მდებარეობს კურორტი სქური. მას მინიჭებული ქვს ბალნეოლოგიური კურორტის სტატუსი. ტერიტორიაზე მოედინება სქურის მინერალური წყალი, რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს მწყემსებმა აღმოაჩინეს. საბჭოთა დროს სქურის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 5 მილიონამდე ბოთლ წყალს უშვებდა(Travel in Georgia, 2011). ბალნეოლოგიური კურორტს საბჭოთა დროში, წლების განმავლობაში ათასობით ადამიანი სტუმრობდა. აქ არსებული მინერალური წყალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭმლის მომნელებელი ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ნერვული სისტემის, საშარდე სისტემისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. ვარაუდობენ, რომ სქურის წყალი საუკუნეებს ითვლის. გასული საუკუნის 20-იან წლებში მან მიიღო სამკურნალო სტატუსი. 1940 წელს აქ დაფუძნდა სანატორიუმი, სადაც სხვადასხვა კუთხეებიდან თუ ქვეყნებიდან ჩამოსული დამსვენებლები მკურნალობდნენ (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია, 2014).

დღეისთვის კურორტზე არსებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია. მოუწესრიგებელია გზაც, რის გამოც წვიმიან ამინში გართულებულია ტერიტორიაზე შეუფერხებლად მიმოსვლა. გარდა ამისა, აქ არსებული ახალგაზრდული ბანაკები, რომლებიც დაახლოებით 15 წლის წინ მოეწყო და ემსახურებოდა ახალგაზრდების საზაფხულო სკოლებს, თითქმის სრულად მიწასთანაა გასწორებული. ყველასათვის ხელმისაწვდომია მინერალური წყალი, რომელიც ქუჩაში, წლების წინ დამონტაჟებულ ონკანში მოედინება უწყვეტად, უზარმაზარი დანაკარგებით. რამდენიმე წლის წინ ტერიტორია შეისყიდა კერძო ინვერტორმა, რომელმაც ყოფილი სანატორიუმის

ტერიტორიაზე მოაწყო სასტუმრო, თუმცა დღეისთვის აღნიშნული სასტუმრო არ ფუნქციონირებს.

გარდა ამისა, კურორტის ტერიტორიაზე არ ხდება ვიზიტორთა აღრიცხვა, თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით მათი რაოდენობა ყოველწლიურად სულ რამდენიმე ასეულია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სქურის ტერიტორიის საკვლევ არეალად განსაზღვრის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მოგვეხდინა *იმ ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირება, რომლებმაც განაპირობეს დიდი მნიშვნელობის კურორტის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება, როგორია ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვა და რა პერსპექტივების დანახვა შეიძლება სამომავლოდ ტერიტორიის ტურისტული მიზნებით ხელახლა ათვისებისთვის.*

3.1.2. ტობავარჩხილი - ახალი ტურისტული მარშრუტი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ეგრისის ქედის კალთებზე, ზღვის დონიდან 2600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ტობავარჩხილი(მეგრ.ვერცხლის ტბა). ეს ამ ქედზე ყველაზე დიდი ტბაა. ტბიდან სათავეს იღებს მდინარე მაგანა. ტობავარჩხილის ტბის სიხალოვეს მდებარეობს რამდენიმე პატარა ტბაც: დიდღალიშ ტობა, კალალიშ ტობა, წაქაწყარიშ ტობა, რომლებიც წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ვრცელდება (ქართული საჭოთა ენციკლოპედია ტ.10, 1986, გვ.7).

გამორჩეული ბუნებითა და მისტიკური ისტორიებით განთქმული ტობავარჩხილი უკვე რამდენიმე წელია ტურისტების მზარდ ინტერესს იწვევს. ყოველწლიურად უფრო მეტი ტურისტული სააგენტო ინტერესდება ობიექტით და გეგმავს აქ ტურებს. ტობავარჩხილზე ტურის დაგეგმვა საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილს ვიზიტორი ფეხით გადის, და ტური რამდენიმე დღეს მოიცავს მარშრუტის სირთულის გამო.

დღეისათვის არც ტობავარჩხილის ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლა მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი და ლამაზი ტბა წალენჯიხის

ტერიტორიაზე მდებარეობს, თუმცა მარშრუტები ძირითადად ჩხოროწყუს რაიონიდან, სოფელი მუხურიდან იწყება. როგორც ადგილობრივები ამბობენ, წალენჯიხის მარშრუტზე ბევრად მნიშვნელოვანი და საინტერესო სანახაობებია, თუმცა, რატომღაც ტერიტორია მაინც ჩხოროწყუს გზით განვითარდა.

ტობავარჩხილი მესამე საკვლევი არეალია. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ტერიტორია განსხვავდება წინა ორისგან როგორც სეგმენტით, ისე წარსულითა და პერსპექტივებით. *კვლევის ფარგლებში, შევეცდებით დავადგინოთ, რა არის მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ტობავარჩხილის მოთხოვნა მზარდია, რა სარგებელი შეიძლება მან მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და რამდენად არის მისი განვითარების პროცესში ჩართული საჯარო და კერძო სექტორი.*

3.2. რეგიონული ტურიზმის როლი მარტვილის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში

ტურიზმის სექტორის სრულყოფაში მრავალი სუბიექტი მონაწილეობს. ამ სუბიექტებიდან ზოგს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დანარჩენ სხვებს. ამას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს, მათ შორის ტურიზმის სახეობა, განვითარების ტემპები, ისტორიული კონტექსტი და სხვა.

მარტვილის კანიონი მიეკუთვნება ეკოტურიზმს და იგი რეგიონული და სასოფლო ტურიზმის ნაწილადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მუნიციპალიტეტზე თეორიული მასალის დამუშავებისა და ადგილზე ტურიზმის სფეროში ჩახედული ადამიანების გამოკითხვის შედეგად შედგა სამი მთავარი რგოლი, რომლებთანაც შემდგომში დაიგეგმა ინტერვიუები საკვლევი თემის მთავარი კითხვაზე მიგნებების იდენტიფიცირებისთვის:

- **სამთავრობო/ადმინისტრაციული რგოლი** - მმართველი ორგანოები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პასუხსმგებელნი არიან ტურიზმის განვითარების ტემპებზე, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდასა და ისეთი სტრატეგიების შემუშავებაზე, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს;

- **ბიზნეს სექტორი** - მარტვილის მუნიციპალიტეტში, კანიონის მიმდებარე ტერიტორიებზე და მასზე მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნეს ოპერატორები;
- **ადგილობრივი მოსახლეობა** - ადამიანები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ტურიზმის განვითარებაში და ასევე ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ კანიონის სიახლოვეს და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმებით მიიღონ სარგებელი სექტორიდან.

მარტვილის რაიონში ამ სამი საკვლევი ობიექტის განსაზღვრის შემდეგ შეიქმნა კითხვარი და დაიგეგმა ინტერვიუები. ყველა მათგანის შემთხვევაში კვლევას ჰქონდა სიღრმისეული ინტერვიუს სახე, რომელშიც წინასწარ შედგენილი ღია კითხვარებით ხდებოდა ხელმძღვანელობა.

კვლევის შემდგომ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ სამი აქტორის ცალ-ცალკე განხილვის აუცილებლობა, რადგან ***თითოეულ შემთხვევაში სექტორებს შიგნით ვლინდებოდა მსგავსი ტენდენციები, თუმცა სექტორებს შორის შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები პასუხებს შორის.***

3.2.1. კვლევა სამთავრობო/ადმინისტრაციულ რგოლში

ადმინისტრაციულ რგოლში იგულისხმება ცენტრალურ ან ადგილობრივ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ძირითადი ორგანოები. კვლევის ფარგლებში, სწორედ სახელისუფლებო რგოლებისადმი მისაწვდომობა აღმოჩნდა ყველაზე რთული, თუმცა, საბოლოოდ შედგა თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში ჩართულ სამ მთავარ აქტორთან: ადგილობრივ ხელისუფლებასთან(მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია), ტურიზმის საინფორმაციო ცენტრთან და მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრის ადმინისტრაციასთან.

სანამ უშუალოდ შედეგების იდენტიფიცირებას შევეხებით, უნდა განიმარტოს რამდენიმე საკითხი, რომელთა შესახებაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად გახდა ცნობილი.

მარტვილის კანიონის ტერიტორიას ამ დროისთვის აკონტროლებს დაცული ტერიტორიების სააგენტო. იმის გამო, რომ ადგილობრივები სააგენტოს გამოჩენამდე სწორედ კანიონზე ნავების გაქირავებით ირჩენდნენ თავს, ადგილზე შეიქმნა პრობლემა, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო მოგება. 2015 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობისა და რადიკალური მოთხოვნების შემდეგ შეიქმნა შპს,,ოფუცხოი'', რომელშიც გაწევრიანებულია სოფელ ინჩხურის(ადგილი სადაც ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს), ლებაჩეს უბნის(კანიონის სანაოსნო სივრცის არეალებში არებული უბანი) 80 კომლი. შპს ''ოფუცხოისა'' და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს ''ოფუცხოი'' ყოველწლიურად იხდის წლიური ბრუნვის 30%-ს, ხოლო სააგენტო ყოველ მესამე დღეს ბილეთების რეალიზაციიდან 70%-ს ურიცხავს შპს-ს. გარდა ამისა, ხელშეკრულების მიხედვით, კანიონის ტერიტორიაზე დასაქმებულთა რაოდენობის 70% უნდა იყოს ადგილობრივი. დღეისათვის მარტვილის ბუნების ძეგლის ადმინისტრაციაში 18 ადამიანია დასაქმებული და მათგან 12 მარტვილის მკვირდია(იხ.დიაგრამა #2) (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2019).

საველე კვლევის პროცესში ინტერვიუს პირველი ნაწილი ეთმობოდა იმის იდენტიფიციტრების მცდელობას, ***რა როლი აქვს სახელისუფლებო რგოლს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტურისტული მიზნებით განვითარების საქმეში.*** ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზეპულია პასუხების ძირითადი ნაწილი, რაც შეეხება კვლევის ანალიზს, მთავარ მიგნებებსა და შედეგების თეორიულ ჩარჩოსთან მისადაგებას, სამივე რგოლის ინტერვიუების განხილვის შემდეგ შემოგთავაზებთ.

კვლევის ამ ნაწილმა და სამივე უწყების მენეჯერთა პასუხებმა ცხადყო, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების ათვისებისა და მათი განვითარების საქმეში ***მნიშვნელოვანი როლი სამთავრობო უწყებებს უკავიათ.*** თუმცა, საინტერესო არის ის, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით ადმინისტრაციული ერთეული საერთოდ ვერ სარგებლობს და მთელი მიღებული ფინანსური რესურსი მიემართება ცენტრალური ხელისუფლებისკენ. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტი არ იღებს ფინანსურ მონაწილეობას კანიონის განვითარების

საქმეში. შესაბამისად, ***ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს ძალა/უფლება, განკარგოს მისი ერთეულის შემადგენლობაში არსებული ობიექტის ფინანსური მხარე.***

კვლევის მეორე ნაწილი დაეთმო იმას, თუ ***რამდენად მარტივად ხდება კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის*** და როგორი იყო ეს კონტაქტი ვიზიტორთა ცენტრის მოწყობამდე, კონფლიქტის არსებობისას და შემდგომ. ამ მიმართულებით დასმულმა კითხვამ არაერთგვაროვანი პასუხები გამოიწვია. კერძოდ,ადგილობრივი ხელისუფლებისა და ვიზიტორთა ცენტრის წარმომადგენლები ამ კომუნიკაციას დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ საკმაოდ აქტიური იყო და არის კონტაქტი მათსა და ადგილობრივებს შორის , რასაც მესამე რგოლის წარმომადგენელი არ ეთანხმება და მეტიც, მისი მტკიცებით კომუნიკაცია თითქმის საერთოდ არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის მტკიცება დაადასტურა კვლევამ ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ნაშრომის შემდგომ ნაწილებშია შემოთავაზებული.

ინტერვიუს კიდევ ერთი ნაწილი ეთმობოდა იმ საკითხის გარკვევას, ***რამდენად ხდება ტურიზმის მარკეტინგული კვლევა და კანიონის რეკლამირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბაზარზე.*** ინტერვიუს პასუხებმა ცხადყო, რომ მარკეტინგულ კვლევას ჯერჯერობით არ აქვს სტრუქტურირებული ხასიათი და ის მხოლოდ იშვიათი მარტივი გამოკითხვებით შემოიფარგლება. ამის მიზეზად ერთ-ერთი უწყების წარმომადგენელი ასახელებს, რომ ***დარგში დასაქმებულთა დიდ ნაწილს არ აქვს მარკეტინგული უნარ-ჩვევები.*** გარდა ამისა, სამივე უწყებამ დაადასტურა, რომ რეკლამის მიმართულებით ნაკლებად ხდება ნაბიჯების გადადგმა და ვიზიტორების დიდი ნაწილი ადგილზე მხოლოდ ინდივიდუალური ტურის ფარგლებში მიდის. რაც შეეხება ჯგუფურ ტურებს, იშვიათად, თუმცა მაინც ხდება კონტაქტის დამყარება ტურ-ოპერატორებთან და სხვადასხვა ტურებში მარტვილის კანიონის ჩართვა.

ბოლო ნაწილი კვლევისა კი შეეხებოდა ***ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ.*** გამოვლინდა რამდენიმე საერთო პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც ტურიზმის განვითარებას სასიკეთოდ წაადგება. ეს პრობლემებია:

- ***ინფრასტრუქტურის გაუმართაობა*** - მიუხედავად იმისა, რომ კანიონის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა უმჯობესდება, ქალაქის ნაწილი, სადაც სასტუმროები და კვების ობიექტებია, ჯერ კიდევ არაა ტურისტებისთვის კეთილმოწყობილი. მთავარ პრობლემას გზები წარმოადგენს;
- ***დამატებითი ტურისტული რესურსების შეზღუდული რაოდენობა*** - ქალაქის ტერიტორიაზე არ არის სხვა ობიექტი გარდა კანიონისა და საკათედრო ტაძრისა. არ არის გასართობი ცენტრები, ტურისტებისთვის საინტერესო სხვა ობიექტები[თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ისე მოშორებით არის სალხინოს დადიანების რეზიდენცია, ღვინის მარნები აგროტურიზმით დაინტერესებულთათვის].
- ***არასამთავრობო ორგანიზაციების პასიურობა*** - დანანებით აღინიშნა, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებს შესწევთ ძალა, რომ შეიტანონ წვლილი ტურიზმის ინდუსტრიაში მოსახლეობის ჩართულობის კუთხით, თუმცა მსგავსი ღონისძიებები თითქმის არ ტარდება.

3.2.2. კვლევა მცირე და საშუალო ბიზნეს ოპერატორებში

სამთავრობო რგოლთან ერთად, ტურიზმის განვითარების საქმეში განსაკუთრებულ როლს კერძო ბიზნესის წარმომადგენლები არსულებენ. ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ აქტორებს მომსახურების სფეროში, ამიტომ, მათ მიერ გაწეულ ნებისმიერი სახის მომსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობის მოხდენა შეუძლია ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებაში.

კვლევის ფარგლებში, ჯამში 11 ბიზნეს ოპერატორთან ჩატარდა ინტერვიუ. მათი ნაწილი მცირე ბიზნესის წარმომადგენელია, ნაწილი კი - საშუალო ბიზნესისა. კვლევის შედეგების მაქსიმალურად ობიექტურად და ფართოდ გენერალიზებისთვის, ინტერვიუ ჩაიწერა რამდენიმე სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთან. ესენია:

- კანიონის ტერიტორიაზე, უშუალოდ ვიზიტორთა ცენტრის წინ არსებული სავაჭრო დახლების მფლობელები, რომლებიც ძირითადად ვაჭრობენ ახალდაწურული ნატურალური წვენებით, ქართული სამზარეულოს

გამორჩეული ელემენტებით(ჩურჩხელა, ჩირეული) და სუვენირებით. აღსანიშნავია, რომ მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს კანიონის სიახლოვეს, სოფელ ლებაჩეში და ამ საქმიანობის პარალელურად, ფლობს წილებს შპს ,,ოფუცხოი''-ში.

- კვების ობიექტები და სავაჭრო ცენტრები - აღნიშნული დაწესებულებები ძირითადად მდებარეობენ მარტვილის ცენტრიდან კანიონისკენ მიმავალ გზაზე და მათთან ინტერვიუ გადაწყდა, რათა დადგენილიყო, რა ეკონომიკური გავლენა შეიძლება ჰქონდეს ტურიზმის განვითარებას არა მხოლოდ უშუალოდ ტურისტული ობიექტის ირგვლივ მდებარე, არამედ მოშორებით არსებულ ტერიტორიებზე;
- განთავსების საშუალებები - კვლევის ფარგლებში ჩაიწერა, მარტვილში, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე სასტუმროსა და საოჯახო სასტუროს მფლობელი. განთავსების საშუალებები, ერთ-ერთი საკვანძო რგოლია ტურიზმის განვითარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ფლობს ძალიან მცირე ინფორმაციას სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების შესახებ მარტვილის რაიონში, ამ ინფომაციიდანაც ნათლად ჩანს, რომ 2015-დან 2017 წლამდე რაიონში მზარდი იყო განთავსების საშუალებების შემოსავლები ნომრებით სარგებლობიდან, ისევე როგორც მათი ხარჯები(იხ. ცხრილი #2) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი, 2019).

  განსხვავებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, რაიონში ბევრად დიდი რაოდენობითა განთავსების ობიექტია. კერძოდ, მარტვილის მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგისტრირებულია 6 სასტუმრო და 31 ჰოსტელი ან საოჯახო სასტუმრო. მათგან, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს 19 განთავსების ობიექტი. სოფელ ინჩხურში, კანიონის ტერიტორიაზე კი 5 საოჯახო სასტუმროა (იხ რუკა#3)

(მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, 2019).

ბიზნეს სექტორში ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სამთავრობო რგოლის პასუხებისგან განსხვავებული რამდენიმე ტენდენცია.

ინტერვიუების პირველი ნაწილი ეთმობოდა იმ საკითხის გარკვევას, თუ ***რამ უბიძგათ რესპონდენტებს ბიზნესის ამუშავებისკენ და ძირითადად, რა ტიპის გამოცდილებას ეყრდნობოდნენ ისინი.*** ამ შემთხვევაში გამოვლინდა საინტერესო ტენდენცია. კვების ობიექტებისა და განთავსების საშუალებების მფლობელები მთავარ მოტივაციად გამოყოფდნენ წმინდა **ბიზნეს-ფაქტორს** და ამბობდნენ, რომ დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობა იყო ის ძირითადი, რამაც მათ ობიექტების ამუშავებიკენ უბიძგა. განსხვავებული იყო უფრო მცირე მეწარმეების პასუხი, რომელთა მთავარი ნაწილი ამბობდა, რომ **სოციალურმა მდგომარეობამ** და ხშირად, გამოუვალმა ეკონომიკურმა სიტუაციებმა აიძულეს ისინი დაეწყოთ რაიმე სამუშაო ოჯახის სარჩენად.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა არის ის, თუ ***რა სახის გამოცდილებას და კონკრეტულ ინფორმაციას დაეყრდნო ოპერატორი ბიზნესის ამუშავებამდე და რა მოლოდინები ჰქონდა მას.*** ამ ნაწილის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად უნივერსალურია თეორია რაციონალური მოლოდინების შესახებ და რამდენად გამართლდა ამ თეორიაში დაშვებული ვარაუდი, რომ ბიზნესის აქტორები გადაწყვეტილებას კონკრეტული ინფორმაციისა და ვარაუდების შესაბამისად იღებენ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მეწარმეების ძირითადი ნაწილი დაეყრდნო საკუთარ, ემპირიულ გამოცდილებას. არც ერთ მათგანს არ ჩაუტარებია ბაზრის მარკეტინგული კვლევა, არც არსებული სტატისტიკური მასალებით უსარგებლია და არც ჰქონია მსგავსის მცდელობის. გამოკითხულთა უმეტესობა განმარტავს, რომ მათი დაკვირვება ტურისტების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით აღმოჩნდა საკმარისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროგნოზები კი განსხვავებული იყო ბიზნესის ფორმისა და ზომის მიხედვით. მცირე მეწარმეთა უმეტესობა ამბობდა, რომ მათი პროგნოზი მხოლოდ ოჯახში ,,პურის ფულის'' შეტანის შესაძლებლობის ზრდა იყო, რაც მათივე თქმით ნაწილობრივ

გამართლდა და ზოგ შემთხვევაში, შემოსავლის ზრდამ გავლენა იქონია არა მხოლოდ ყოველდღიური მოხმარების საგნებით დაკმაყოფილებაზე, არამედ, განათლებაზე, საოჯახო მეურნეობის გაფართოებაზე და სხვა. საშუალო ბიზნესების მფლობელებისთვის მთავარ მოლოდინს ბიზნესიდან მიღებული შემოსავლებით მნიშვნელოვანი მოგებისა და ამ ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, გამოკითხულთა უმრავლესობას ჯერჯერობით უჭირს, ისაუბროს კონკრეტული მოლოდინების გამართლების ან არგამართლების შესახებ.

საინტერესო იყო სამთავრობო რგოლსა და ბიზნესის სექტორს შორის კომუნიკაციის საკითხის კვლევა. ამ ნაწილის მიზანი იყო, გამოეკვეთა ძირითადი მახასიათებლები ამ ორ რგოლს შორის კომუნიკაციაში, რათა ნათელი ყოფილიყო ის, თუ რამდენად ხდება ურთიერთ თანამშრომლობით ტურიზმის განვითარება. ინტერვიუს დროს რესპონდენტთა თითქმის 90% აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათ არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონიათ. ისინი განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ვიზიტორთა ცენტრის მოწყობის პროცესში და არც მას შემდეგ, ადმინისტრაციას მათთან არც კონსულტაცია გაუვლია და რაიმე ტიპის შეთავაზებაც არ ჰქონია. ცაკლე უნდა აღინიშნოს სავაჭრო დახლების საქმე, რომელთა დიდ ნაწილსაც, როგორც აღმოჩნდა, დიდი ბრძოლა მოუწია ამ დახლების მოსაწყობად ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, გამოკითხულთა ნაწილმა განაცხადა, რომ მათი ჩართულობა ცენტრის მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყო, თუმცა ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და არც ერთი მათი შენიშვნა გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს.

ტურიზმის მდგრადობის კვლევის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ინტერვიუების ის ნაწილი, რომელიც ადგენდა, თუ ***რა სახის გავლენა იქონია ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე ტურიზმის განვითარებამ.*** ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილის განცხადებით, ისინი დამატებით რესურსებს, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან(ძირითადად, კვება და სასმელი), იღებენ ადგილობრივი ბაზრების საშუალებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათივე მტკიცებით, აღნიშნული ნედლეულის მთავარი ნაწილი იმპორტირებულია და არ

წარმოადგენს ადგილობრივი წარმოების პროდუქტს. მხოლოდ რძის პროდუქტებს გამოყოფენ კვების ობიექტები ადგილობრივი წარმოებიდან, რომელიც ტურიზმის სფეროში გამოიყენება. თუმცა, აქვე დასძენენ, რომ სარძევე მიმართულების მეურნეობა მარტვილის რეგიონში მანამდეც განვითარებული იყო და ტურიზმს მისი განსაკუთრებული ზრდა არ გამოუწვევია. რაც ნიშნავს იმას, რომ მდგრადი ტურიზმის კონცეფციის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ამ სფერომ უნდა უზრუნველყოს სასოფლო რეგიონებში ადგილობრივი წარმოების სტიმულირება და ხელშეწყობა, ჯერჯერობით არ შესრულებულა.

ბოლო და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კვლევისა ***ბიზნეს სექტორში პრობლემების იდენტიფიცირება იყო.*** პრობლემებს შორის განსაკუთრებული სიხშირით დაფიქსირდა:

- მიმართვიანობა - მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სექტორი მუდმივად მზარდია რაიონში, გამოკითული ობიექტები ვიზიტორთა მომართვიანობის პრობლემაზე მაინც საუბრობენ. სასტუმროებისთვის ამას თან ერთვის დაყოვნების პრობლემა. როგორც განთავსების საშუალებების რამდენიმე ობიექტის წარმომადგენელმა განაცხადა, ქუთაისთან და საზღვაო საკურორტო ზონებთან სიახლოვე განაპირობებს იმას, რომ ვიზიტორები ძირითადად ტერიტორიას რამდენიმე საათით სტუმრობენ და შესაბამისად, არ სარგებლობენ ან ძალიან მცირე ხნით ყოვნდებიან განთავსების ობიქტებში;
- მიმართვიანობის პრობლემას თან ერთვის კონკურენციაც - სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლები, რომლებიც კანიონის სიახლოვეს არიან განთავსებულნი, აღნიშნავენ, რომ სასტუმროები და სხვა ტიპის განთავსების ობიექტები თავიანთ კლიენტებს ქალაქის ცენტრის სიახლოვეს მდებარე დიდ სავაჭრო დაწესებულებებს ურჩევენ რაც რა თქმა უნდა, იწვევს იმას, რომ ცენტრიდან კანიონისკენ წამოსული ვიზიტორი აღარ ჩერდება სავაჭრო ობიექტთან და შესაბამისად, ტურიზმის ზრდა მათზე ნაკლებ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, კონკურენციას განიცდიან სასტუმროებიც, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, მათ ძირითად

კონკურენტს იმერეთის რეგიონში მდებარე სასტუმროები წარმოადგენენ. აღნიშნული პრობლემა ბმაშია შემდეგ მათგანთან;

- კანიონთან ერთად, დამატებითი ტურისტული ობიექტების შეზღუდული რაოდენობა - როგორც აღმოჩნდა, ტურისტების რამდენიმე საათით დაყოვნებისა და მათი ძირითადი ნაწილის სხვა რეგიონებში განთავსების პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტურისტებისთვის მიმზიდველი ობიექტების სიმცირეა. ერთი დღე სრულიად საკმარისია ინფრასტრუქტურულად მოწესრიგებული ძირითადი ლოკაციების - მარტვილის კანიონის, სალხინოს რეზიდენციისა და საკათედრო ტაძრის მონახულებისთვის. სტუმრებს არ აქვთ შესაძლებლობა, დაკავდნენ დამატებითი აქტივობებით, რის გამოც, ისინი არჩევენ ისეთ ობიექტებს, სადაც ამ მიმართულებით მრავალფეროვნება უფრო დიდია;
- ტერიტორიის სივრცითი თავისებურება და სატრანსპორტო მდებარეობა - მარტვილის მუნიციპალიტეტი არ მდებარეობს ძირითადი ტურისტული საზღვაო რეგიონებისა და მთავარ სატრანსპორტო არტერიებს(ქუთაისის აეროპორტი და დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ცენტრალური ტრასა) შორის და აქ მოსახვედრად საჭიროა დამატებითი მარშრუტის დაგეგმვა. გარდა ამისა, აქ არ გადის ცენტრალური რკინიგზის ხაზი. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები თვილიან, რომ ეს დამატებით დანაკარგს ქმნის მათთვის. დაყოვნების პრობლემა ნაკლებად იქნებოდა თვალშისაცემი კვებისა და სავაჭრო ობიექტებისთვის, მათ რომ ცენტრალური მდებარეობა ჰქონდეთ(იხ.რუკა #4).
- ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მნიშვნელოვან პრობლემას ხედავენ ადგილობივ ხელისუფლებაშიც. კერძოდ, რამდენიმე ინტერვიუში გამოვლინდა დამოკიდებულება, რომ ადგილობრივი მმართველები ნაკლებად არიან ჩართულნი ტურიზმის განვითარებაში, ნაკლებად აქვთ ამ მიმართულებით კვალიფიკაცია, რაც გამოკითხულთა ნაწილის განმარტებით, პირველ რიგში ტურიზმისთვის და მათთვისაც, როგორც ამ სფეროს საკვანძო აქტორებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეორე ნაწილის პოზიცია არ იყო ცალსახა და ისინი ამ პრობლემის იდენტიფიცირებას არ ახდენდნენ და ხშირად პირიქით, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერაზეც საუბრობდნენ.

3.2.3. ადგილობრივი მოსახლეობის კვლევა

მარტვილის მუნიციპალიტეტში საველე კვლევის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობაში კვლევის ჩასატარებლად შერჩეულ იქნა ლებაჩეს უბანი. ამის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული უბანი მარტვილის კანიონის ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს და შესაბამისად, ტურიზმის განვითარება ყველაზე მეტად სწორედ ამ ტერიტორიაზე უნდა ასახულიყო. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ლებაჩეს უბნის 15 მოსახლესთან. აღსანიშნავია რომ, მანამდე ნახსენები შპს ,,ოფუცხოი'' დაკომპლექტებულია სწორედ ამ უბნის მაცხოვრებლებისგან.

ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია. ეს ტენდენციები ეხება ხელისუფლებასთან კომუნიკაციას, უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელს ტურიზმიდან, ამ სექტორის განვითარების კვალდაკვალ არსებულ ცვლილებებსა და მთავარ პრობლემებს.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი გარკვეულწილად დაკავშირებულია ტურისტულ ბაზართან და მათი უმრავლესობა მარტვილის კანიონზეა დასაქმებული. შესაბამისად, მარტვილის კანიონიდან ისინი გარკვეულ სარგებელს იღებენ. გარდა ამისა, მათი ოჯახები შპს-ს მეწილეები არიან და როგორც აცხადებენ, ტურისტულ სეზონზე ***მათი შემოსავალი ფარავს მნიშვნელოვან ყოველდღიურ ხარჯებს*** და ეს შემოსავალი წლიდან წლამდე იზრდება.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის შემდეგ მათი ფინანსური მდგომარეობის ცვლილების გამო. როგორც მოსახლეობა განმარტავს, მანამდე კანიონის ტერიტორიაზე ნავების გაქირავებისა და ***ვიზიტორთა მომსახურებიდან მიღებული თანხები ბევრად დიდი იყო ვიდრე ახლა.*** ამის მიზეზი კი ისაა, რომ

ყოველდღიური შემოსავალი, რომელიც ტურიზმიდან შემოდიოდა, სრულად მათ ოჯახებს ხმარდებოდა, ახლა კი ისინი უბრალოდ დაქირავებული მუშები არიან და შესაბამისად, მოგებას ვზიტორთა ცენტრი განკარგავს. აქედან გამომდინარე, მათ მოუწიათ დასჯერებოდნენ მხოლოდ ხელფასების სახით მიღებულ შემოსავლებს.

ფინანსური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად აფასებს კანიონის ტერიტორიის კეთილმოწყობას. აქვე, მათი ნაწილი აცხადებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა და აღარ არის ერთგვარი მონოპოლია, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი, რადგან ტურისტებს მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ემსახურებოდა, რომლებმაც საქმიანობა ტერიტორიაზე ყველაზე ადრე დაიწყეს.

კვლევის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას ვთხოვეთ, გამოეყოთ რამდენიმე დადებითი და უარყოფითი ფაქტორი, რაც მათი გადმოსახედიდან იკვეთება მარტვილში ტურიზმის სექტორის ზრდის კვალდაკვალ.

დადებითი ფაქტორები	უარყოფითი ფაქტორები
• მოწესრიგდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა; • მოსახლეობის დასაქმების ზრდა; • იზრდება რაიონის ცნობადობა; • გაიზარდა შანსები, რომ ბევრად მეტი ეკონომიკური სარგებელი ნახოს ტურიზმიდან ადგლობრივმა ბიუჯეტმა.	• ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები პირდაპირი წესით არ მიემართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისკენ და მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით ხდება რაიონის დაფინანსება; • არ ხდება კანიონის რეკლამირება საერთაშორისო ბაზარზე; • რთულად მყარდება ვიზიტორთა ცენტრთან კომუნიკაცია.

საინტერესო აღმოჩნდა ლებაჩეს უბნის მოსახლეობის განცხადებები იმის შესახებ, რომ ტურიზმის განვითარების შემდეგ სოფელშიც და ზოგადად, ***მარტვილის რაიონშიც***

ბევრი ადამიანი დაბრუნდა საცხოვრებლად და სხვადასხვა ბიზნესის ასამუშავებლად. აღნიშნული სტატისტიკურად ვერ დადასტურდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ფლობს მხოლოდ ზოგად მონაცემებს და იგი არ აწარმოებს მიგრაციის შესახებ ყოველწლიურ ინფორმაციას. შესაბამისად, რთულია სტატისტიკით დადასტურდეს აღნიშნული ფაქტი. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2010 წლიდან 2019 წლამდე მარტვილის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ეს თანაბრად ეხება, როგორც სასოფლო, ისე საქალაქო დასახლებებს(იხ.ცხრილი #3) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი, 2019). თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მონაცემი არ არის საკმარისი ადგილობრივების მონათხრობის უარსაყოფად.

3.2. ბალნეოლოგიური კურორტი სქური - არსებული რეალობა და ძირითადი პრობლემები

განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებაში. როგორც უკვე აღინიშნა, დღეისთვის კურორტი უფუნქციოდაა დარჩენილი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში კვლევის მასშტაბები საკმაოდ შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, კვლევის ეს ნაწილი ეთმობა იმ ძირითადი პრობლემების გამოვლენას, რამაც განაპირობა აღნიშნული მნიშვნელობის ადგილის დღევანდელი მდგომარეობა.

საველე კვლევის მაქსიმალურად სრულყოფისა და არსებული რეალობის საჩვენებლად, გამოთხოვილ იქნა კურორტთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიიდან. გარდა ამისა, ჩაიწერა ინტერვიუ მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის ორ წარმომადგენელთან და განხორციელდა ვიზიტი კურორტის ტერიტორიაზე მდგომარეობის ზოგადი შეფასებისთვის.

საინტერესოა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტმა ვერ მოგვაწოდა ვერანაირი სტატისტიკური თუ სხვა ტიპის ინფორმაციები რაიონში ტურიზმთან დაკავშირებით. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სქურს აქვს კურორტის

სტატუსი, აქ ვიზიტორთა სტატისტიკის კვლევა არ მიმდინარეობს და მმართველი ორგანო მხოლოდ არაფორმალურ ინფორმაციას ეყრდნობა.

ინტერვიუების, ტერიტორიაზე ჩატარებული დაკვირვებისა და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა, რაც კურორტი სქურის განვითარებას აფერხებს:

- ინფრასტრუქტურა - ერთი ვიზიტითაც მარტივად მისახვედრია, რომ კურორტზე არსებული სიტუაცია ძალიან არასახარბიელოა. ცენტრალური გზიდან 5 კილომეტრის მანძილზე, კურორტამდე მისასვლელი გზა არაა მყარი საფარის და როგორც ადგილობრივები განმარტავენ, მსუბუქი ავტომობილით მოძრაობა უამინდობის დროს საფრთხისშემცველია. გარდა ამისა, ძველი სასტუმროს ტერიტორიაზე ამ ეტაპზე ახალი, კეთილმოწყობილი სასტუმრო დგას, თუმცა ისიც უფუნქციოა სწორედ ვიზიტორების არარსებობის გამო. ტერიტორიაზე არ არის კვების ობიექტი. განადგურებულია ახალგაზრდული ბანაკები და არ არის მინიმალური უსაფრთხოებაც უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, სქურის გამაჯანსაღებელი წყარო მოედინება უწყვეტად და ჩაედინება სანიაღვრე არხებში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი ზიანი 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების შედეგად მიადგა და მას შემდეგ მისი მოწესრიგება გართულდა ადგილობრივი ბიუჯეტის სიმცირის გამო;
- ცენტრალური ხელისუფლების მიერ ტერიტორიის უგულვებელყოფა - მერიაში აცხადებენ, რომ მიუხედავად ხელისუფლების მიერ გაცხადებული გეზისა, ტურიზმი გახდეს პრიორიტეტული დარგი, რეალურად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იდგმევა;
- ინვესტორების სიმცირე - მიუხედავად იმისა, რომ კურორტი დღეისთვის კერძო ინვერსტორის მმართველობის ქვეშაა, მანამ, სანამ არ მოხდება მომიჯნავე დარგების განვითარება და ტურიზმში გარკვეული

ინვესტიციების ჩადება, რთულია კურორტი სქურის პერსპექტივებზე საუბარი.

ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებასთან ერთად, შევეცადეთ გაგვერკვია რა სამომავლო პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს კურორტს, რომ გახდეს რაიონის ტურიზმის განვითარების მთავარი ცენტრი. სქურში ტურიზმის გამოცოცხლების მთავარი წყარო შეიძლება იყოს რაიონის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები, რომელთა დატვირთვაც შემდგომში გამოიწვევს ინტერესებს ადგილობრივებსა თუ კერძო ინვესტორებში. კურორტის სიახლოვეს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სილამაზით განთქმული ინწრას ხეობა, ასევე, სქურზე გადის ერთ-ერთი მთავარი მარშრუტი ტობავარჩხილის ტბებისკენ. კულტურული ტურიზმით დაინტერესებულთათვის, წალენჯიხის ტერიტორიაზე მდებარეობს მეათე საუკუნის საკათედრო ტაძარი, ამავე პერიოდის სამნავიანი ეკლესია მდებარეობს სქურშიც. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მომავალში იგეგმება ტურისტული მარშრუტების მოწყობა ენგურჰესის ტერიტორიაზეც.

როგორც ვხედავთ, კურორტი სქურის დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა, თუმცა დროთა განმავლობაში, ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელია მისი განვითარებაც, როგორც ერთ-ერთი მთავარი ბალნეოლოგიური ცენტრი სამეგრელოს რეგიონში.

3.3. ტობავარჩხილი - ახალი მარშრუტი სათავგადასავლო ტურიზმისთვის

სამეგრელოს რეგიონში კიდევ ერთი დღეისთვის მნიშვნელოვანი მიმართულება, სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებაა. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტობავარჩხილი. ბოლო რამდენიმე წელია ის ვიზიტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ამის მთავარი მიზეზი ის ბუნებაა, რასაც ეგრისის ქედის ტბების ირგვლივ ვხვდებით.

ისევე როგორც სქურის შემთხვევაში, დღეისთვის არც ტობავარჩხილის ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობისა და ბაზრის მარკეტინგული კვლევა არ ტარდება. აღსანიშნავია, რომ ტობავარჩხილი სადავო ტერიტორიას წარმოადგენს

წალენჯიხის, მარტვილისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებისთვის. საჯარო ინფორმაციების გამოთხოვის შემდეგ დადგინდა, რომ სამივე აღნიშნული რაიონის თვითმართველობა ობიექტს თავის საკუთრებაში განიხილავს. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ დღეისათვის ტურისტული მარშრუტები მხოლოდ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არსებულ გზაზე გადის. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, იგეგმება რამდენიმე აქტივობა ტურისტულ ობიექტზე მეტი ვიზიტორის მიღებისთვის. კერძოდ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას სამომავლოდ გათვალისწინებული აქვს ტურისტული მარშრუტების კეთილმოწყობა, სატრანსპორტო და საცალფეხო გზის რეაბილიტაცია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გასულ წელს მუნიციპალიტეტს 3300 ვიზიტორი ეწვია.

რაც შეეხება ფინანსებს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ტობავარჩხილის შემთხვევაშიც, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტებში არ ისახება.

იქიდან გამომდინარე, რომ ტობავარჩხილის მარშრუტი საკმაოდ რთულია და ტერიტორიაზე ვიზიტს 4-5 დღე სჭირდება, იგი საინტერესო მარშრუტად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ სათავგადასავლო ტურების მოყვარულთათვის. გარდა ამისა, რთული მარშრუტი მის სეზონურობას განაპირობებს, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტურიზმში. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ტურების დროს ნაკლებად სავარაუდოა მნიშვნელოვანი სარგებელი ნახოს ადგილობრივმა განთავსებისა და კვების ბაზარმა. იმისათვის, რომ ტობავარჩხილზე ტურიზმმა შეძლოს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე გავლენის მოხდენა, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- ტურების ისე შედგენა, რომ გათვალისწინებულ იქნეს უახლოესი კულტურული თუ სხვა ტიპის ობიექტების მონახულება;
- განთავსებისა და კვების ობიექტების კეთილმოწყობა სამარშრუტო გზაზე. დღეისთვის ტურისტები ძირითადად იკვეებიან და ისვენებენ ე.წ. კარეებში, მწყემსთა სადგომებში. შესაძლებელია ამ ობიექტების მეტად კომერციალიზაცია;

- რეკლამირება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე - აღნიშნული უზრუნველყოფს ვიზიტორთა ნაკადის ზრდას;
- სხვადასხვა მარშრუტების განვითარება - საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც ტობავარჩხილის სხვადასხვა ტურების ავტორი ადგილობრივები ამბობენ, კურორტი სქურიდან, საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბევრად საინტერესო მარშრუტების დაგეგმვაა შესაძლებელი და ამავდროულად, ეს მარშრუტები ბევრად მარტივია. სქურის გავლით სტუმრებს შეეძლებათ მოინახულონ ისტორიულ-კულტურული ძეგლები და დაისვენონ მდინარის ხეობებში.

საბოლოო ჯამში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურიზმი ტობავარჩხილზე ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდრეობის მნიშვნელოვან ზრდას, თუმცა კომპლექსური მიდგომის შემთხვევაში მას აქვს მნიშვნელოვანი პერსპექტივები.

თავი IV - სამეგრელოში ტურიზმის განვითარების თავისებურებები - კვლევის ძირითადი მიგნებები

როგორც ზემოთ გამოჩნდა, ტურიზმის განვითარება სამეგრელოში სხვადასხვა ტერიტორიებზე სხვადასხვა ტემპებით და მახასიათებლებით მიმდინარეობს. თუმცა ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელლოვანი ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია, ზოგადად რეგიონის ან უშუალოდ კონკრეტული ტურისტული არეალისთვის. აქვე, საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი დავინახოთ ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულ თეორიულ მიდგომებთან გამოვლენილი ამ მახასიათებლების თავსებადობა.

კვლევის ფარგლებში არსებული მიგნებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ✓ ***რეგიონული ტურიზმის განვითარებამ ხელი ვერ შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას*** - როგორც მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, განსაკუთრებული ცვლილებები არ შეინიშნება სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ადგილობრივი პროდუქტი ნაკლებად გამოიყენება ტურიზმში ჩართული ბიზნეს აქტორების მიერ;
- ✓ ***ტურიზმის განვითარება მდგრადობის პრინციპს მხოლოდ ნაწილობრივ ჰპასუხობს*** - მარტვილის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება მიმდინარეობს მდგრადი ეკოლოგიური განვითარების პრინციპით, რაც აისახა კიდეც კანიონის ტერიტორიაზე. როგორც ადგილობრივები ინტერვიუებში ამბობდნენ, ტურიზმის განვითარების თავდაპირველმა ტემპებმა გაჭედილის კანიონის ფაუნას მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა, ხოლო მას შემდეგ რაც სახელმწიფომ აიღო სადავეები ხელში და კანიონს მიენიჭა დაცული ტერიტორიის სტატუსი, ეს საფრთხე შემცირებულია. გარდა ამისა, უკონტროლო იყო გარემოს დაბინძურება ნარჩენებით, დღეს კი ეს ფაქტორიც მნიშვნელოვნადაა შემცირებული. თუმცა, ნაშრომში განხილული ეკონომიკური მდგრადობის პრინციპს ნაკლებად ითვალისწინებს აღნიშნული სექტორის განვითარება რეგიონში.

იგულისხმება ის, რომ ტურიზმის განვითარებამ და სახელმწიფოს ჩარევამ ამ საქმეში, შეამცირა მოსახლეობის შემოსავლები, რაც რა თქმა უნდა გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიის შემუშავების დროს. გარდა ამისა, ეკონომიკური მდგრადობა ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერებასაც უნდა გულისხმობდეს, თუმცა როგორც დავინახეთ არც ერთ განხილულ ობიექტზე (სქური, კანიონი, ტობავარჩხილი), ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში პირდაპირი წესით არ აისახება;

- ✓ კვლევამ გამოავლინა, რომ ***ტურიზმის განვითარება მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილზე აისახება*** და არა სრულიად რეგიონზე ან რაიონზე, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა მარტვილის შემთხვევაში, სადაც მარტვილის კანიონიდან მიღებული სიკეთეებით ჯერჯერობით მხოლოდ მსხვილი ბიზნესმენები ან ადგილობრივი თემი(ლებაჩეს უბანი) სარგებლობს. მუნიციპალიტეტში მდებარე მცირე სავაჭრო ობიექტები და ცენტრალურ ტერიტორიებზე მცხობრები მოსახლეობა ნაკლებად იღებს რაიმე სახის სარგებელს;
- ✓ ***ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურიზმი არ წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს.*** სექტორი ადგილობრივების ძირითადი ნაწილისთვის მხოლოდ დამატებითი რესურსების მობილიზების წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული ტენდენცია ჩატარებული კვლევის ანალიზმა გამოავლინა.
- ✓ ***ტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო მომსახურების სფეროს სხვა დარგების განვითარებას*** - როგორც კვლევებმა აჩვენა, ტურიზმის ზრდის პარალელურად განვითარდა მომსახურების სფეროც. იმატა განთავსების საშუალებებისა და კვების ობიექტების რაოდენობამ. გარდა ამისა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, გაიზარდა მომსახურების ხარისხი და აღნიშნულის დარეგულირება ბაზარმა შეძლო;
- ✓ რეგიონში სოფლის-მეურნეობასა და ტურიზმს შორის კავშირის მიმართულებით ***მეორედება , თეორიულ ნაწილში ხსენებული***

საერთაშორისო ტენდენციის ნიშნები. კერძოდ, სასოფლო ტერიტორიებზე ტურიზმმა ვერ უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხარისხისა და მისი წარმოების ისე ზრდა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო ტურისტულ ობიექტებში.

რეგიონული ტურიზმისა და მდგრადი განვითარების თავისებურებების განხილვის შემდეგ საინტერესოა შევაფასოთ, რამდენად ესადაგება სამეგრელოს რეგიონის ტურიზმის განვითარება იმ სამეცნიერო თეორიებს, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის რამდენიმე ცალკეულ ნაწილს. განვიხილოთ თითოეული კონცეფცია ცალ-ცალკე.

სამეგრელოში ტურიზმის განვითარების ტენდენციები ესადაგება არაბალანსირებული ზრდის თეორიას. აქ მომსახურების სფეროში მთავარი სექტორის როლში ტურიზმი გვევლინება და მისი განვითარება ქმნის ერთგვარ ჯაჭვს მისი მომიჯნავე დარგების შესაბამისი განვითარებით. რეგიონული ტურიზმის შემთხვევაში, სწორედ არაბალანსირებული ზრდის თეორია მიესადაგება განვითარების ტენდენციებს. ამის ნათელი მაგალითი არის სამეგრელოს რეგიონიც, სადაც ამ სექტორის მასშტაბების ზრდის კვალდაკვალ ვითარდება მომსახურების სფეროს ისეთი დარგები, როგორიცაა განთავსების ობიექტები, ვაჭრობა, კვების ობიექტები. ჩვენ დავინახეთ, რომ მარტვილში ტურიზმის დანერგვის შემდეგ გაიზარდა ამ ობიექტების რაოდენობა და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ რაოდენობის ზრდასთან ერთად, მზარდია მათი ფინანსური სარგებელიც.

როგორც კვლევებმა ცხადყო, სამეგრელოში ტურიზმის განვითარებამ გამოიწვია თვითდასაქმებული, სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მომსახურების სფეროში გადაყვანა, თუმცა ამას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია სოფლის მეურნეობაზე. მარტვილში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ტურიზმი მოსახლეობისთვის გახდა დამატებითი შემოსავლის წყარო და მათთვის სოფლის მეურნეობა, როგორც საქმიანობის სფერო არ შეცვლილა. გარდა ამისა, თუ შევხედავთ გამოკითხულთა სტატისტიკას, დავინახავთ, რომ მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი მანამდე სწორედ სოფლის მეურნეობაში საქმიანობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

რეგიონში ტურიზმის განვითარება ემთხვევა დუალისტური ეკონომიკის თეორიას, რომელიც ნაშრომის პირველ ნაწილშია განხილული.

ბიზნესის წარმომადგენლებში ჩატარებული ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ მათ ბიზნესის დაწყებამდე ძირითადად გარკვეული მოლოდინები ჰქონდათ და ეს მოლოდინები მათი დაკვირვების შედეგი იყო და მათ არ ჰქონდათ კონკრეტული, ხელშესახები სტატისტიკური თუ სხვა სახის თეორიული მასალები, რითაც განამტკიცებდნენ თავიანთ პროგნოზებს. შესაბამისად, ისინი ფლობდნენ შეზღუდულ ინფორმაციას და არ აქცევდნენ ყურადღებას ისეთ გარემოებებს, რომელიც არ ეხებოდა მათ საქმიანობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა ისარგებლეს სამი ძირითადი წყაროთი: გამოცდილება, პარტნიორების რჩევები და ზოგადი დაკვირვება. როგორც წლების განმავლობაში გამოჩნდა, ბიზნესის მფლობელთა თავდაპირველი პროგნოზი იმის შესახებ, რომ ტურიზმის განვითარების ტემპები მათ შემოსავლებს გაზრდიდა და შემდგომში მიეცემოდათ ამ ბიზნესების გაფართოების შესაძლებლობა მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. გამოკითხულთა ნაწილმა ვერ გაითვალისწინა წინა თავში მოცემული დაყოვნების პრობლემა და სწორედ ამიტომ, მათი ბიზნესი რისკის ქვეშ აღმოჩნდა. მეორე ნაწილმა კი სწორად განსაზღვრა სურათი და მოგების მიღებაც შეძლო. ერთ-ერთ თეორიულ ჩარჩოდ მიღებული ***რაციონალური მოლოდინის თეორიის მიდგომები სამეგრელოს მაგალითზე ნაწილობრივ გამართლდა.*** კერძოდ, გამართლდა თეორიის ის ნაწილი, სადაც საუბარია შესაძლო შეცდომების დაშვებასა და რისკების საკმარისად ვერ გათვლაზე. ასევე, გამართლდა ოპტიმალური პროგნოზებიც ტურიზმის ზრდის შესახებ. თუმცა, რაციონალური მოლოდინების თეორიის მიმდევრები საუბრობენ გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტულ ინფორმაციასა და დასაბუთებულ ვარაუდზე, რაც, როგორც კვლევამ გვაჩვენა თითქმის არც ერთ ბიზნეს სუბიექტს არ ჰქონდა და ისინი ძირითადად ეფუძნებოდნენ ზოგადი დაკვირვების შედეგებს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო გვეჩვენებინა ის ძირითადი ტენდენციები, რაც ტურიზმის ინდუსტრიას აქვს სამეგრელოს რეგიონში. როგორც განხილულმა თეორიულმა მასალებმა და ჩატარებული საველე კვლევის შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რეგიონში ტურიზმის განვითარებას აქვს როგორც მნიშვნელოვანი პოტენციალი, ასევე ვლინდება ბევრი პრობლემაც. გარდა ამისა, ნაშრომში იყო მცდელობა, მომხდარიყო რეგიონში სექტორის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი თავისებურებების იდენტიფიცირება.

პოტენციალის თვალსაზრისით გამოჩნდა, რომ რეგიონში პერსპექტივა აქვს ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მდგრად ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებასთან. რაც შეეხება პრობლემებს, ამ მიმართულებით განსაკუთრებით მრავალფეროვნება გამოვლინდა. პრობლემებს ვხვდებით როგორც მმართველი რგოლის, ისე კერძო სექტორისა და ადგილობრივი მოსახლეობის კონტექსტში. შესაბამისად, მათი გადაჭრის გზები და სირთულეც განსხვავებულია.

სათაურიდანაც ჩანს, რომ ნაშრომის მთავარ მიზანს ტურიზმის სექტორის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი მახასიათებლების გამოვლენა იყო. როგორც მეორე ნაწილშიც ვნახეთ, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების მიმართულებით, სამეგრელოში ტურიზმის სექტორის განვითარებას აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტები, როგორიცაა:

- ✓ ტურიზმის მომიჯნავე დარგების განვითარება;
- ✓ მოსახლეობის დასაქმებისა და მისი მომსახურების სფეროში ჩართულობის ზრდა;
- ✓ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

გარდა ამისა, ტურიზმის განვითარებით, შესაძლებელია ისეთი სიკეთეების მიღება, როგორიცაა, მოსახლეობის დაბრუნება მშობლიურ კუთხეში, სოფლის მეურნეობისა განვითარება, ადგილობრივი ბიუჯეტის და შესაბამისად, ადგილობრივი

ხელისუფლებების შესაძლებლობის ზრდა, მიღებული სარგებელი განკარგონ ისე, როგორც უკეთესი იქნება ლოკალური გარემოსთვის. ჯერჯერობით, ამ მიმართულებით ტურიზმის ზრდას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

სივრცითი ასპექტების მიმართულებით გამოჩნდა ის, რომ მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, რეგიონი მრავალფეროვანია ისეთი ტურისტული რესურსებით, რომლებიც სხვადასხვა ადამიანების ინტერესს შესაძლოა იწვევდეს. ეს არის, ისტორიულ-კულტურული, ეკოტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო და სხვა სახეობის ტურიზმი. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, გამოვლინდა, რომ სამეგრელოს გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმის სექტორის განვითარებაზე. კერძოდ, მისი სიახლოვე იმერეთთან და საზღვაო საკურორტო ზონებთან, ზრდის შანსს იმისა, რომ რეგიონის ტურისტული ადგილები უფრო და უფრო ხშირად მოხვდეს ტურიზმის სფეროში ჩართული ადამიანების ინტერესის სფეროში. რეგიონის სატრანსპორტო მდებარეობა კი სხვადასხვა ტურისტული ადგილებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს.

თეორიული მიდგომების დამუშავებამ და კვლევის შედეგების ანალიზმა გამოაჩინა, რომ სამეგრელოს რეგიონში ტურიზმის განვითარების თავისებურებები ემთხვევა ეკონომიკური განვითარების იმ ძირითად მეცნიერულ თეორიებს, რომლებიც მოყვანილია ტექსტში. გარდა ამისა, სექტორის მდგრადი განვითარების მიმართულებით დღეისთვის იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემები.

დასკვნის დასასრულს უნდა აღინიშნოს კვლევის თეორიული მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული ღირებულება.

ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სამეგრელოში ტურიზმის სექტორის განვითარება ძირითადად ესადაგება კვლევის ჩარჩო-კონცეფციად მიღებულ თეორიებს *(ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის თეორია, რაციონალური მოლოდინების თეორია, დუალისტური ეკონომიკის თეორია).* გარდა ამისა, ნათლად გამოჩნდა, რომ მდგრადი განვითარებისადმი სახელმწიფოს მიდგომა ხშირად მხოლოდ ფურცელზეა დეკლარირებული და სათანადოდ არ სრულდება ამ კონცეფციის მთავარი იდეები. კერძოდ, ტურიზმის განვითარებამ მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის მოიტანა

კონკრეტული სარგებელი და ის არ გავრცელდა მთელს მოსახლეობაზე, ასევე, მან ვერ შეძლო რეგიონული ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ სოფლის მეურნეობის დარგების მნიშვნელოვანი განვითარება. თეორიული თვალსაზრისით, აღნიშნული ნაშრომი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ტურიზმის სფეროს მკვლევართათვის, როგორც კონკრეტული მაგალითი.

შესაძლოა მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებაც. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის პრობლემები და ტენდენციები, რაც ტურიზმის განვითარებას ახლავს სამეგრელოს რეგიონში. იდენტიფიცირებული საკითხები შესაძლოა საინტერესო გამოდგეს ტურიზმის სფეროში ჩართული ბიზნესმენებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, რათა მათ შემდგომში პრაქტიკაში გაითვალისწინონ ის და იმოქმედონ შესაბამისად. ნაშრომის შედეგები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სამეგრელოს რეგიონის ტურისტული განვითარების სტრატეგიას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე, რ. (2015). *ეკონომიკური განვითარება.* თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საეხელმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. (2013). *საქართველოს გეოგრაფია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მექვაბიშვილი. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციათა კურსი).* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია, ოქროცვარიძე ლ.,. (2011). *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი.* თბილისი.

სააკაშვილი ნ., ჩილინგარაშვილი თ. (2011). *საქართველო - ტურიზმის და კურორტების ქვეყანა.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

ქართული საჭოთა ენციკლოპედია ტ.10. (1986). *ტობავარჩხილი.* თბილისი.

შუბლაძე. (2006). *ტურიზმის დაჩქარებული განვითარება - სიღარიბის დაძლევის ფაქტორი - საქართველოში.* თბილისი.

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2019). *მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი.* მოპოვებულია 10 ივნისს. www.apa.ge: https://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument/gochkadlis-kanionis-bunebis-dzegli

მარტვილის მუნციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. (2019).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2015). *საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025.* მოპოვებულია 6 ივნისს. https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი. (2019).

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2019). *კვლევები.* მოპოვებულია 30 მაისს. https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2017). *საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა* . მოპოვებულია 30 მაისს. https://gnta.ge/ge/publication/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90/

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2013-2018). *საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა.* მოპოვებულია 14 მაისს. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

საქართველოს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. (2019). *საინფორმაციო ბუკლეტი -სამეგრელო.*

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2019). *საჯარო ინფორმაცია.*

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2019). *ტურისტული სერვისების მიმწოდებლები. კვლევები.* მოპოვებულია 17 მაისს. https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

ქველაძე , ქისტაური , მელაშვილი ;. (2017). მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში. *აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული, მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები* (pp. 2-13). თბილისი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობ. მოპოვებულია 28 აპრილს https://www.researchgate.net/publication/325094754_mdgradi_turizmi_da_misi_roli_kveqnis_ekonomikis_mdgradobashi

Barbier, E. B. (1987). The Concept of Sustainable Economic Development. *Environmental Conservation*, 101-110.

Business Implementation of Pro Poor Tourism: Case Study Briefs. (2004, December). *Tourism-agricultural linkages: Boosting inputs from local*. Retrieved from Overseas Development Institute: https://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/3790.pdf

Butler, R. W. (1999). *Sustainable tourism: A state-of-the-art review.* Tourism Geographers.

Cooper Ch., Fletcher J., Fyall S., and Wanhill S. (2008). *Tourism (Principles and Practices).* Prentice Hall.

Gurung, L. (2012). *Exploring Links between Tourism and Agriculture in Sustainable*. Lincoln University , 24-25.

Internetional Centre for Responsible Tourism. (2004). *Tourism and Local Economic Development.* London: University of Greenwich.

Meier. (2000). *Frontiers of Development Economics.* New York: Oxford University Press.

Meyer D.F, Meyer N. (2015). *The role and impact of tourism on local economic development: A comparative study.* African Journal for Physical Health Education, Recreation and Dance, 197-2014.

Muth, J. F. (1961). *Rational Expectations and the Theory of Price Movements*. Econometrica, 315.

OCED. (2010). *Measuring the role of tourism in OECD economies: The OECD manual on tourism satellite accounts and employment.*

Pedrana, M. (2013). LOCAL ECONOMIC DEVELOPMENT POLICIES AND TOURISM. AN APPROACH TO SUSTAINABILITY AND CULTURE. *Regional Science Inquiry Journal*, 91-99.

(1987). *Report of the World Commission on Environment and Development.* United Nations.

Tahiri A.; Kovaci I. (2017, March). *The theory of sustainable Tourism Development*. Academic Journal of Business, Administration, Law and Social Science, 349-348.

Travel in Georgia. (2011). *კურორტი სქური.* Retrieved from https://travelingeorgia.com/ka/resorts/resort-skuri/

UNWTO. (2019, January 21). *International Tourism Results 2018 and Outlook 2019.* Retrieved from World Tourism Organization UNWTO: http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/pdf/unwto_barometer_jan19_presentation_en.pdf

დანართი



ილუსტრაცია #1: სოფლის მეურნეობასა და ტურისტულ ბაზარს შორის კავშირის მოდელი (Gurung, 2012)



დიაგრამა #1: 2010-2018 წლებში საქართველოში ტურისტული ვიზიტების სტატისტიკა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013-2018)



რუკა #1: საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით 2014-2018 წლებში (რუკა შედგენილია სამაგისტრო ნაშრომის ავტორის მიერ)

(ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013-2018)



რუკა #2: განთავსების ობიექტებისა და ნომრების რაოდენობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით (რუკა შედგენილია სამაგისტრო ნაშრომის ავტორის მიერ) (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019)



დიაგრამა #2: სამეგრელოს რეგიონში არსებული განთავსების საშუალებების ხვდრითი წილი მათში ოთახების რაოდენობის მიხედვით (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019)



დიაგრამა #3: მარტვილის კანიონის ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2019 წლებში (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2019)



დიაგრამა #4: მარტვილის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დასაქმებულთა განაწილება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2019)

წელი	სასტუმროები ს რაოდენობა	ადგილები ს საერთო რაოდენობა	ნომრები ს რიცხვი	მათ შორის				შემოსავალი ნომრებით სარგებლობიდა ნ (ათასი ლარი)	ხარჯი (ათასი ლარი)
				ლუქს ი	ერთადგილიან ი	ორადგილიან ი	სამი და მეტი ადგილი თ		
2015	3	81	37	-	3	24	10	20,2	14,9
2016	4	143	64	-	15	36	13	122,4	69,9
2017	5	116	49	2	10	23	14	170,3	95,2

ცხრილი #2: სასტუმროების სტატისტიკა მარტვილში, საქსტატის მონაცემებით 2015-2017 წლებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი, 2019)

მარტვილის მუნიციპალიტეტის რიცხოვნობა დასახლებების ტიპის მიხედვით(ათასი კაცი)										
	2010	*2011*	*2012*	*2013*	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*2018*	*2019*
საქალაქო დასახლება	4.8	4.7	4.6	4.5	4.5	4.4	4.4	4.3	4.3	4.2
სასოფლო დასახლება	30.7	30.3	29.8	29.4	29.3	29.0	28.8	28.5	28.3	27.9
სულ	35.5	35.0	34.4	34.0	33.7	33.4	33.1	32.8	32.6	32.2

ცხრილი #3: მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა მარტვილის მუნიციპალიტეტში 2010-2019 წლებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი, 2019)



რუკა #3: მომსახურების სფეროს ობიექტები მარტვილის რაიონში(რუკა შედგენილია სამაგისტრო ნაშრომის ავტორის მიერ)



რუკა #4: დასავლეთ საქართველოს სატრანსპორტო ქსელი (რუკა შედგენილია სამაგისტრო ნაშრომის ავტორის მიერ)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Davit Kvaratskhelia

MA Thesis. Kvaratskhelia D. - Socio-Economic and Spatial Aspects of Development of Tourism Industry in Samegrelo Region

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Science

Supervisor: **Ia Iashvili**

Associate Professor

Tbilisi 2018